# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 15 სექტემბერი 2006 №213 (2835)

ფასი 50 თეთრი




## ერთია სწავლა და მეორე გართობა

ფედერაცია ბავშვთა ფეხბურთში ვარსკვლავებს დაითვლის

3

## იდეების ბაზარი ბერლინში




დომენეკმა თავდასხმაზე ლექცია წაიკითხა

5




## ალონსო შუმახერს წელსქვემოთ ურტყამს

15

# არც ერთი მატჩი უგოლოდ

# SHOT!

კიევი: ევრო 2008-ის შესარჩევი

ნაიმეგენი: ჰოლანდიის ჩემპიონატი

ალკმაარი, გუშინ: უეფას თასი




# ბლატერმაც შეიძლება თქვას:



## შენი დედაც ჯეკ...



## ფიფას ვიცე-პრეზიდენტის ბარიგული ჯეკ-პოტი?

თაღლითობა ნახეთ... ეს ამბავი თუ დადასტურდა, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც მნიშვნელოვნად შეირყევს სკამსა და რეპუტაციას.

რაშია საქმე და, ფიფას ვიცე-პრეზიდენტსა და კონკაკაფ-ის (ჩრდილო და ცენტრალური ამერიკა) პრეზიდენტ ჯეკ უორნერს „ბარიგობაში" ადანაშაულებენ.

ბრიტანული „დეილი მეილი" იუწყება, უორნერი შავ ბაზარზე მუნდიალზე დასასწრები ბილეთების გაყიდვაში გამოიჭირესო. უორნერი პატარა წონის კაცი არაა და, ცხადია, სამუნდიალო ბილეთებიც ხვინჭასავით ჰქონდა. ჰოდა, ახლა ამბობენ, ეს ბილეთები ტურისტულ სააგენტოებს მიჰყიდა, ფულს კი ჯიბეში იდებდაო — ლაპარაკია დაახლოებით მილიონ დოლარზე.

ჯერჯერობით მხოლოდ ფიფას პრეს-ატაშე ანდრეას გერენის სიტყვებია მოყვანილი კომენტარად, უორნერის ამბავზე გამოძიება დაიწყება და დამნაშავეები დაისჯებიანო.

# ინტერს მაურინიუს ინტერესი აქვს

## ინტერესი აქვს სხვასაც: ჟოზეს უთვალთვალებენ და ფარულად უსმენენ

ლონდონის ერთ-ერთ პორტუგალიურ რესტორანში, რომლის მუდმივი კლიენტიც გახლავთ „ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ, კედელში ჩამონტაჟებული მოსასმენი აპარატი იპოვეს. კედელი კი სწორედ იმ მაგიდასთანაა, მაურინიუს რომ უყვარს ჯდომა.

რესტორნის მზარეული რადიოს უსმენდა, შეამჩნია, რომ ტალღა იხშობოდა და ხელოსანს უხმო, რომელმაც აპარატს მიაგნო. ამ მაგიდასთან ისხდნენ შარშან ჟოზე მაურინიუ და ეშლი კოული, როცა პორტუგალიელი მალულად ცდილობდა „არსენალის" მცველის გადაბირებას და ეს საქმე ჟურნალისტებმა გამოააშკარავეს. რესტორნის მეპატრონემ ანტონიო კორეიზამ განაცხადა, რომ მოსასმენის აღმოჩენის წინა დღეს მაგიდასთან „ჩელსის" რამდენიმე ფეხბურთელმა ისადილა. მოკლედ, ამ საქმეს, ალბათ, გამოიძიებენ და აპარატის „პატრონს" მიაგნებენ, ხოლო, რაც შეეხება ჟოზე მაურინიუს, მისი სახელი გუშინ იტალიურმა „ლა სტამპამ" ახსენა. რატომ? ამბობენ, მასიმო მორატის რობერტო მანჩინის აბდაუბდა „ინტერი" მოსწყინდა და ჟოზე მაურინიუს ეპატიჟებაო. სავარაუდოდ, მანჩინის ამ სეზონს ჩაამთავრებინებენ, მომავალ ზაფხულს კი მორატი პორტუგალიელი მწვრთნელის გადაბირებას შეეცდება.



ბადრი კვიჟინაძის ფოტო



გრიგოლ ცაავა, ნოდარ ახალკაცი, უჩა უგულავა და ნიკოლოზ დოლიძე

# ერთია სწავლა და მეორე — გართობა

## ფედერაცია ბავშვთა ფეხბურთში ვარსკვლავებს დაითვლის

ბავშვთა ფეხბურთში რომ მთლად დალაგებულად ვერაა საქმე და ეს შემდგომში ალესილი ნაჯახივით ყელზე დაადგებათ ჩვენს ნაკრებებს, ადვილი მისახვედრია. ბევრგან ნახავთ, ეგრეთ წოდებული მწვრთნელები ნათოხარივით მოედანზე რომ ბავშვებს ავარჯიშებენ. ჩემი თვალით მინახავს, ერთ ვარჯიშზე ბავშვი საერთოდ არ შეხებია ბურთს, მშობელს კი უხაროდა, ჩემი ბიჭი ფეხბურთზე დადისო...

მოკლედ, ბევრი პრობლემაა და ამ საკითხებზე მოეწყო პრესკონფერენცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, რომელიც ფედერაციის პირველკაცმა ნოდარ ახალკაცმა, ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა გრიგოლ ცაავამ და გენმდივანმა უჩა უგულავამ ჩაატარეს. მათთან ერთად იყო ნიკოლოზ დოლიძეც, რომელიც ფედერაციის მრჩეველია ბავშვთა ფეხბურთის საკითხებში.

მაშ ასე, 18 სექტემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ამ საკითხთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართება, რომელსაც საქართველოში არსებული ბაშვთა საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები დაესწრებიან.

*ნოდარ ახალკაცი:* ამ კონფერენციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები კარგა ხნის წინ დავიწყეთ. აგვისტოს ბოლოს სკოლებს კითხვარები გავუგზავნეთ, მაგრამ ამით ბევრი არაფერი გამოვიდა, ამიტომაც უნდა შევხვდეთ სკოლების წარმომადგენლებს, რათა გავაცნოთ ამ სფეროში დაგეგმილი რეფორმები. მთავარი მიზანია, უეფას ფეხი ავუწყოთ — ბავშვთა ფეხბურთს უეფა დიდ ყურადღებას უთმობს და დროა, ჩვენც ვიაქტიუროთ, ქაოსს და განუკითხაობას წერტილი დავუსვათ. ჩვენი გაგზავნილი კითხვარებით გვსურდა, სკოლების წარმომადგენელთა ხედვა დაგვენახა, მაგრამ იშვიათი გამონაკლისის გარდა, უკმაყოფილონი დავრჩით.

...რა გადაწყდება ამ კონფერენციაზე? ფეხბურთი მარტო სპორტის სახეობა კი არა, ბიზნესიცაა. თანამედროვე საფეხბურთო მოთხოვნების შესასრულებლად შემოგვაქვს ბავშვთა სკოლების ლიცენზირების სისტემა. ყველამ იცის, რომ ბავშვთა ფეხბურთში ლიცენზირებული მწვრთნელების ნაკლებობაა და 2007 წლის 1 იანვრიდან C ლიცენზია ამოქმედდება — თუ ვინმეს ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში სურს მუშაობა, C ლიცენზია უნდა ჰქონდეს. და კიდევ: სკოლები, რომლის მწვრთნელებიც ამ ლიცენზიას არ ფლობენ, სფფ-ის ეგიდით გამართულ ტურნირებში ვერ ითამაშებენ.

...1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე საგანგებო ჯგუფი შეისწავლის ინფორმაციას სკოლებზე, 1 იანვრიდან 30 ივნისამდე სკოლების ინსპექტირება მოხდება, 1 ივლისიდან კი მათთვის ვარსკვლავების მინიჭების პროცესიც დაიწყება. სისტემის მიხედვით, თუ სკოლა ერთ ვარსკვლავსაც ვერ მიიღებს, ტურნირებზე არ დაიშვება.

**— რამდენი საფეხბურთო სკოლაა საქართველოში?**

*უჩა უგულავა:* 157 საფეხბურთო სკოლაა რეგისტრირებული და თითოეულს შეუძლია, ორ-ორი კაცი წარმოადგინოს 18 სექტემბრის კონფერენციაზე. აქვე გეტყვით, რომ ჩამოყალიბდა ბავშვთა ფეხბურთის დახმარების ფონდი, რომელშიც თანხა უკვე შეიტანეს ფეხბურთის ფედერაციამ, ლევან კობიაშვილმა და ზურაბ ხიზანიშვილმა. თუ რომელიმე სკოლა წარმოგვიდგენს პროგრამას და დაგვაჯერებს, რომ ფინანსურ დახმარებას საჭიროებს, ამ ფონდიდან დავეხმარებით.

**— როგორ გგონიათ, ამ 157 სკოლიდან რამდენი მიიღებს ლიცენზიას?**

*უჩა უგულავა:* ვიცით რეალობა და, ვფიქრობთ, 157 სკოლიდან ბევრი ვერ გაივლის ლიცენზირებას. მოკლედ, გაუგებრობა უნდა დასრულდეს და გაირკვეს, რომელი შეინარჩუნებს საფეხბურთო სკოლის სახელს. მთავარია, ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე ყველა პიროვნებამ გაიგოს, რომ საფეხბურთო სკოლა სხვაა, მასობრივი ფეხბურთი კი სხვა — საფეხბურთო სკოლებში ასწავლიან, დანარჩენები კი, უბრალოდ, ერთობიან. ბევრი სკოლის ხელმძღვანელმა არც იცის, რამდენი უჯდება თითოეული ბავშვის შენახვა. 150 ბავშვი რომ ერთ პატარა მინი-მოედანზე ვარჯიშობს, იმას საფეხბურთო სკოლა არ უნდა ერქვას.

**ილია ნანობაშვილი**

# დემეტრაძე გადარჩა



**საქართველოს** ნაკრების თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძის ტრავმა საშიში არ გამოდგა — წინა ტურში კიევის „დინამოსთან" (1:1) მატჩში დაშავებული ქართველი თავდამსხმელი იოლად გადარჩა და გუშინ დონეცკის „მეტალურგს" ამხანაგურ მატჩში შეეშველა. დონეცკელებმა ევროთასების გამო ჩემპიონატში შექმნილი შესვენებით ისარგებლეს და ქვედალიგელი „კონტი" 4:0 გაანადგურეს, დემეტრაძემ პირველი ტაიმი ითამაშა და რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანა.

**ჟაკა შალამბერიძე**

# ახალი გერმანელები

## ლიოვი ქართველებთან ორ დებიუტს გეგმავს

**7 ოქტომბერს** გერმანია — საქართველოს ამხანაგური მატჩი რომ გაიმართება, გეცოდინებათ.

გადაწყვეტილია, რომ გერმანელთა თავკაცი იოახიმ ლიოვი როსტოკულ მატჩში ორ დებიუტანტს ათამაშებს. ორივე ნახევარმცველია — „ჰამბურგის" 21 წლის პიოტრ ტროხოვსკი და „გლადბახის" 20 წლის ევგენი პოლანსკი.

გარდა ამისა, ქართველებთან თამაშში არც იენს ლემანი იდგება კარში. ლიოვის თქმით, დროა, ახალგაზრდა გოლკიპერები ნელ-ნელა შეეჩვიონ ნაკრებს და საქართველოსთან სათადარიგო მეკარე დაიცავს კარს — სავარაუდოდ, ეს „შტუტგარტის" 24 წლის ტიმო ჰილდებრანდი იქნება, რომელსაც აქამდეც უთამაშია ბუნდესნაკრებში და შარშანწინ ბუნდესლიგაში „მშრალი სერიის" რეკორდიც დაამყარა.

**ილია ნანობაშვილი**



გერმანელები საქართველოს ნაკრებს ამ სტადიონზე უმასპინძლებენ

## უეფას თასი 2006-2007

### პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

**რუბინი** (რუსეთი) 0:1 **პარმა** (იტალია)
*ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე და მიხეილ აშვეთია სათადარიგონი იყვნენ, გიორგი ძინძლაძე ტრავმირებულია*
**ლევადია** (ესტონეთი) 0:1 **ნიუკასლი** (ინგლისი)
**ჰერტა** (გერმანია) 2:2 **ოდენსე** (დანია)
**ლეგია** (პოლონეთი) 1:1 **აუსტრია** (ავსტრია)
**ლიბერეცი** (ჩეხეთი) 2:0 **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)
**ჩერნომორეცი** (უკრაინა) 0:1 **ჰაპოელი** (ისრაელი)
*კახა მჭედლიშვილმა სრულად ითამაშა, ილია კანდელაკი 71-ე წუთზე შეცვალეს, გიორგი შაშიაშვილი სათადარიგო იყო*
**ეთნიკოსი** (კვიპროსი) 0:0 **ლანსი** (საფრანგეთი)
*ლევან ძებაძე 82-ე წუთზე შეცვალეს*
**ქსანთი** (საბერძნეთი) 3:4 **დინამო** (რუმინეთი)
*ლევან მაღრაძე 79-ე წუთზე შეცვალეს*
**ლოკომოტივი** (რუსეთი) 2:1 **ვარეგემი** (ბელგია)
*მალხაზ ასათიანმა სრულად ითამაშა, გიორგი ჭელიძე ტრავმირებულია*
**სტარტი** (ნორვეგია) 2:5 **აიაქსი** (ჰოლანდია)
**ბეშიქთაში** (თურქეთი) 2:0 **ცსკა** (ბულგარეთი)
**არტმედია** (სლოვაკეთი) 2:2 **ესპანიოლი** (ესპანეთი)
**პარტიზანი** (სერბეთი) 4:2 **გრონინგენი** (ჰოლანდია)
**რაპიდი** (რუმინეთი) 1:0 **ნასიონალი** (პორტუგალია)
**შალკე** (გერმანია) 1:0 **ნანსი** (საფრანგეთი)
*ლევან კობიაშვილი ტრავმირებულია*
**ტრაბზონსპორი** (თურქეთი) 2:2 **ოსასუნა** (ესპანეთი)
**ატვიდაბერგი** (შვედეთი) 0:3 **გრასჰოპერი** (შვეიცარია)
**ალკმაარი** (ჰოლანდია) 3:2 **კაისერისპორი** (თურქეთი)
*შოთა არველაძემ სრულად ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა*
**ბაზელი** (შვეიცარია) 6:2 **რაბოტნიჩკი** (მაკედონია)
*მიხეილ ყაველაშვილს არ უთამაშია*
**ბრაგა** (პორტუგალია) 2:0 **კიევო** (იტალია)
**დერი სიტი** (ირლანდია) 0:0 **პსჟ** (საფრანგეთი)
**სლავია** (ჩეხეთი) 0:1 **ტოტენჰემი** (ინგლისი)
**მიოლდე** (ნორვეგია) 0:0 **რეინჯერსი** (შოტლანდია)
**დინამო** (ხორვატია) 1:2 **ოსერი** (საფრანგეთი)
**ლოკომოტივი** (ბულგარეთი) 2:2 **ფეიენოორდი** (ჰოლანდია)
**მაკაბი** (ისრაელი) 1:1 **ლიტექსი** (ბულგარეთი)
**სიონი** (შვეიცარია) 0:0 **ლევერკუზენი** (გერმანია)
**სტანდარდი** (ბელგია) 0:1 **სელტა** (ესპანეთი)
**ვისლა** (პოლონეთი) 0:1 **ირაკლისი** (საბერძნეთი)
**აინტრახტი** (გერმანია) 4:0 **ბრონდბიუ** (დანია)
**ფენერბაჰჩე** (თურქეთი) 2:1 **რანდერსი** (დანია)
**ჰართსი** (შოტლანდია) 0:2 **სპარტა** (ჩეხეთი)
**ლივორნო** (იტალია) 2:0 **პაშინგი** (ავსტრია)
**მარსელი** (საფრანგეთი) 1:0 **ბოლესლავი** (ჩეხეთი)
**პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 1:1 **მეტალურგი** (უკრაინა)
*დავით ქვირკველიამ და ირაკლი მოდებაძემ სრულად ითამაშეს*
**რუჟომბეროკი** (სლოვაკეთი) 0:1 **ბრიუგე** (ბელგია)
**ზალცბურგი** (ავსტრია) 2:2 **ბლეკბერნი** (ინგლისი)
*ზურაბ ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა*
**ატრომიტოსი** (საბერძნეთი) 1:2 **სევილია** (ესპანეთი)
**ვესტ ჰემი** (ინგლისი) 0:1 **პალერმო** (იტალია)
**სეტუბალი** (პორტუგალია) 0:3 **ჰერენვენი** (ჰოლანდია)



„ჩემს მდგომარეობაში ყოფნას არც ერთ ფეხბურთელს არ ვუსურვებ. ფაქტობრივად, კარიერა მელუპება და შუქი არსაიდან ჩანს. როგორი გასაფიქრებელია, რომ შესაძლოა, ორი წელი საერთოდ ვერ ითამაშო?!“ — გვითხრა ზვიად სტურუამ, რომელიც თბილისის „დინამოს“ წევრია, მაგრამ ასეთი წევრობა ვის რად უნდა...

# ორი წელი უფეხბურთოდ?

## სტურუა გაურკვეველ გარკვეულობაშია

ერთი ხანობა საქართველოს ნაკრების მეკარე სტურუას მშვენიერი სეზონები ჰქონდა ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „ლოკომოტივში“, შარშან კი, „დინამოში“ რომ გადავიდა, რამდენიმე თვე თითქოს უკონკურენციოდ ითვლებოდა ძირითადის მეკარედ, მაგრამ მერე საქმეები ცუდად წაუვიდა. ზვიადი დღეს „დინამოს“ განაცხადში საერთოდ არ შეუყვანიათ და, შესაბამისად, თამაშის უფლებაც არა აქვს...

— „დინამოსთან“ კონტრაქტით კიდევ ორი წელი დამრჩა. სეზონი რომ დამთავრდა, კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა, ხელფასის დაკლებას უნდა დაჰყაბულდე, ანუ განახლებულ კონტრაქტს უნდა მოაწერო ხელი, თორემ ტრანსფერზე დაგაყენებთო. ხელფასის შემცირება ვიუარე, მაგრამ ხეირი არ დამიდგა — ჩემი ყიდვა მხოლოდ რუსთავის „ოლიმპს“ უნდოდა, იყო გარკვეული საუბრები, მაგრამ „დინამო“ უარზე დადგა, კონკურენტ გუნდში ვერ გაგიშვებთო. გორის „დილაში“ კი მე არ წავიდოდი და დავრჩი ასე უგუნდო და უთამაშებელი“.

ყველაფერი ნათელია — სტურუას თამაში, სულ ცოტა, პირველი წრის დასრულებამდე გამორიცხულია. მერე მაინც გამოჩნდება კლუბი, რომელიც „დინამოს“ საკმაო თანხას გადაუხდის და ზვიადს დაიხსნის? ამის თავადაც არ სჯერა...

„როგორია, რეალობას თვალი გაუსწორო, მაგრამ ასეა: არ გამოვრიცხავ, კიდევ ორი წელი უთამაშებელი დავრჩე“.

სტურუამ ისიც გვითხრა, „დინამოს“ ხელმძღვანელებთან დალაპარაკება ვცადე, მაგრამ კლუბს მკაფიოდ გამოხატული სატრანსფერო პოლიტიკა აქვსო...

„ხელფასებმა დაიკლო და ამის ხარჯზე პრემიები გაიზარდა. მარტივი ასახსნელია, ასე უფრო მეტი მოტივაცია აქვთ ფეხბურთელებს, რათა თამაშები მოიგონ. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ „დინამო 2“-ის განაცხადშიც კი არ შემიყვანეს“.

ერთადერთი, რისი იმედიც ზვიადს აქვს, ეგებ ჩეხი მწვრთნელის, დუშან უჰრინის მოსვლის შემდეგ რამე შეიცვალოსო. სტურუამ გვითხრა, ჩემს დღეშია რევაზ ქემოკლიძეც, ორივენი მხოლოდ ვვარჯიშობთ, თამაში კი დანატრებული გვაქვსო.

**ილია ნანოგაშვილი**

# საქართველოს უეფას ხუთში მეორე აჩვენა გაზრდამდე დარჩენილია თოთხმეტი საფეხური

უეფას ახალ საკლუბო რეიტინგში საქართველო 36-ე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ ევროთასებზე საქართველო კვლავაც ოთხი გუნდით წარდგება: ერთი — ჩემპიონთა ლიგაზე, ორი — უეფას თასზე და ერთიც ინტერტოტოს თასზე.

აქამდეც არაერთხელ ითქვა, წლეულს ქართული გუნდები ევროპაში არ შერცხვენილანო. ალბათ ასეცაა და ეს უეფას რეიტინგიდანაც ჩანს — ბოლო ხუთ სეზონში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს — 1,666 ქულა. 2002-2006 წლებში ამაზე უკეთესი შედეგი ერთადერთხელ გვქონდა, როცა შარშანწინ თბილისის „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია.

იმ სეზონში „დინამომ“ ბელარუსული ბატე (ორჯერ), ჩეხური „სლავია“ და პოლონური „ვისლა“ დაამარცხა, „ვიტ ჯორჯიამ“ ფარერულ „ტორსჰავნს“ სძლია, „თბილისმა“ კი აზერბაიჯანულ „შამქირს“ (ორჯერ) აჯობა. საბოლოოდ, 2,666 ქულა, რაც ჯერჯერობით საუკეთესოა ქართველი „ევროპელებისთვის“.

წლევანდელზეც ვთქვათ: თბილისის „ამერმა“ უეფას თასზე სომხური „ბანანცი“ დაამარცხა, ხოლო გერმანულ „ჰერტასთან“ ფრე ითამაშა. ერთი მოგება მიითვალა „ვიტ ჯორჯიამ“ (სლოვაკურ „არტმედიასთან“), ერთიც ბოლნისის „სიონმა“ აზერბაიჯანულ „ბაკისთან“. ანუ ჯამში 1,666 ქულა გამოვიდა და საერთო შედეგებით ჩვენ წინ მყოფ ირლანდიას ოდენ 0,001 ქულით ჩამოვრჩებით.

საინტერესოა, რომ პოსტსაბჭოთა სივრციდან საქართველოს ხუთი ქვეყანა უსწრებს — რუსეთი (მე-8 ადგილი), უკრაინა (მე-10), ლატვია (31-ე), ლიტვა (32-ე) და მოლდოვა (34-ე).

**ბაჩა შალამბერიძე**

| № | ქვეყანა | 02/03 | 03/04 | 04/05 | 05/06 | 06/07 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | 15,500 | 14,312 | 12,437 | 15,642 | 2,142 | 60,033 |
| 2 | იტალია | 15,928 | 8,875 | 14,000 | 15,357 | 2,214 | 56,374 |
| 3 | ინგლისი | 10,666 | 11,250 | 15,571 | 14,428 | 3,000 | 54,915 |
| 4 | საფრანგეთი | 7,916 | 13,500 | 11,428 | 10,812 | 2,125 | 45,781 |
| 5 | პორტუგალია | 10,750 | 10,250 | 8,166 | 5,500 | 2,416 | 37,082 |
| 6 | გერმანია | 9,142 | 4,714 | 10,571 | 10,437 | 1,928 | 36,792 |
| 7 | რუმინეთი | 2,166 | 4,333 | 5,500 | 16,833 | 5,000 | 33,832 |
| 8 | რუსეთი | 3,625 | 5,875 | 10,000 | 10,000 | 3,375 | 32,875 |
| 9 | ჰოლანდია | 6,166 | 5,416 | 12,000 | 7,583 | 0,785 | 31,950 |
| 10 | უკრაინა | 4,250 | 4,875 | 8,100 | 5,750 | 3,500 | 26,475 |
| 11 | ბელგია | 6,875 | 5,875 | 6,125 | 5,500 | 1,900 | 26,275 |
| 12 | შოტლანდია | 7,375 | 7,375 | 4,750 | 4,250 | 1,250 | 25,000 |
| 13 | ბულგარეთი | 4,166 | 4,166 | 2,375 | 8,750 | 4,125 | 23,582 |
| 14 | თურქეთი | 4,666 | 6,500 | 5,375 | 4,000 | 2,300 | 22,841 |
| 15 | საბერძნეთი | 7,166 | 4,166 | 6,166 | 3,333 | 1,333 | 22,164 |
| 16 | ჩეხეთი | 6,200 | 7,375 | 2,875 | 4,625 | 1,000 | 22,075 |
| 17 | შვეიცარია | 5,875 | 1,875 | 2,625 | 9,375 | 1,900 | 21,650 |
| 18 | ნორვეგია | 2,700 | 6,125 | 3,500 | 5,400 | 1,800 | 19,525 |
| 19 | სერბეთი | 4,833 | 4,500 | 4,250 | 3,250 | 1,375 | 18,208 |
| 20 | ავსტრია | 4,000 | 2,125 | 7,625 | 3,250 | 0,700 | 17,700 |
| 21 | დანია | 3,250 | 4,200 | 1,500 | 3,500 | 3,375 | 15,825 |
| 22 | პოლონეთი | 6,625 | 4,125 | 2,500 | 1,125 | 1,375 | 15,750 |
| 23 | უნგრეთი | 3,166 | 4,833 | 4,166 | 1,000 | 1,000 | 14,165 |
| 24 | ისრაელი | 5,833 | 2,250 | 3,625 | 1,500 | 0,500 | 13,708 |
| 25 | ხორვატია | 2,750 | 3,625 | 3,000 | 0,333 | 1,000 | 10,708 |
| 26 | შვედეთი | 2,250 | 1,500 | 3,000 | 2,666 | 1,125 | 10,541 |
| 27 | კვიპროსი | 3,166 | 1,333 | 1,333 | 3,000 | 1,500 | 10,332 |
| 28 | სლოვაკეთი | 0,666 | 2,500 | 1,333 | 4,333 | 1,333 | 10,165 |
| 29 | სლოვენია | 0,666 | 2,166 | 3,500 | 2,333 | 1,250 | 9,915 |
| 30 | ბოსნია | 3,000 | 1,166 | 1,666 | 1,500 | 1,833 | 9,665 |
| 31 | ლატვია | 1,166 | 0,833 | 3,166 | 1,333 | 2,166 | 8,664 |
| 32 | ლიტვა | 0,833 | 0,833 | 2,500 | 1,333 | 1,833 | 7,332 |
| 33 | ფინეთი | 0,333 | 1,666 | 1,666 | 2,333 | 1,333 | 7,331 |
| 34 | მოლდოვა | 1,000 | 1,500 | 1,500 | 1,666 | 1,500 | 7,166 |
| 35 | ირლანდია | 0,166 | 0,333 | 1,333 | 1,833 | 2,500 | 6,165 |
| 36 | საქართველო | 1,333 | 0,333 | 2,666 | 0,666 | 1,666 | 6,164 |
| 37 | ლიხტენშტაინი | 1,000 | 0,000 | 2,000 | 1,000 | 2,000 | 6,000 |
| 38 | მაკედონია | 1,166 | 1,666 | 0,333 | 1,500 | 1,166 | 5,831 |
| 39 | ისლანდია | 0,166 | 0,500 | 2,500 | 0,833 | 1,000 | 4,999 |
| 40 | ბელარუსი | 1,166 | 0,666 | 0,500 | 1,333 | 1,000 | 4,665 |
| 41 | ალბანეთი | 0,666 | 0,333 | 1,000 | 1,000 | 0,833 | 3,832 |
| 42 | ესტონეთი | 0,166 | 0,333 | 0,833 | 0,833 | 1,500 | 3,665 |
| 43 | სომხეთი | 1,166 | 0,666 | 0,500 | 0,666 | 0,500 | 3,498 |
| 44 | აზერბაიჯანი | 0,000 | 0,000 | 0,500 | 1,333 | 1,333 | 3,166 |
| 45 | ყაზახეთი | 0,500 | 0,166 | 0,000 | 1,000 | 0,666 | 2,332 |
| 46 | ჩრ.ირლანდია | 0,333 | 0,500 | 0,666 | 0,500 | 0,166 | 2,165 |
| 47 | უელსი | 0,333 | 0,333 | 0,000 | 0,666 | 0,666 | 1,998 |
| 48 | ფარერები | 0,166 | 0,000 | 0,333 | 0,666 | 0,500 | 1,665 |
| 49 | ლუქსემბურგი | 0,500 | 0,166 | 0,333 | 0,500 | 0,166 | 1,665 |
| 50 | მალტა | 0,833 | 0,333 | 0,333 | 0,000 | 0,166 | 1,665 |
| 51 | სან მარინო | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| 52 | ანდორა | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |

1-3 ადგილები: ოთხ-ოთხი გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე და უეფას თასზე
4-6 ადგილები: სამი ჩემპიონთა ლიგაზე, სამიც უეფას თასზე
7-9 ადგილები: ორი ჩემპიონთა ლიგაზე, ოთხი უეფას თასზე
9-15 ადგილები: ორი ჩემპიონთა ლიგაზე, ორი უეფას თასზე
16-21 ადგილები: ერთი ჩემპიონთა ლიგაზე, სამი უეფას თასზე
22-52 ადგილები: ერთი ჩემპიონთა ლიგაზე, ორი უეფას თასზე

### უეფას რეიტინგის შედგენის პრინციპები

1. მოგების შემთხვევაში გუნდს ერიცხება 2 ქულა;
2. ფრეზე 1 ქულა;
3. საკვალიფიკაციო ეტაპებზე აღებული ქულები იყოფა შუაზე;
4. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრისთვის გუნდი ბონუსის სახით იღებს 3 ქულას;
5. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან გასვლისას, ასევე უეფას თასის და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, ნახევარფინალში და ფინალში გასვლისას გუნდი მიიღებს თითო ბონუს-ქულას;
6. ქვეყნიდან ევროთასებზე მოთამაშე ყველა გუნდის დაგროვილი ქულები იკრიბება და იყოფა გუნდების რაოდენობაზე;
7. მიმდინარე რეიტინგი არის ბოლო ხუთი სეზონის შედეგთა ჯამი.

## თქვენი ინტერვიუ

## მალხაზ ასათიანთან

**თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...**



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიელი მეთევზის მოგონებები

## ფეხბურთით გაუმაძღარი მაესტრო

**მარჩელო ლიპის, აბა, რა წარდგენა უნდა, ახსენე მისი გვარ-სახელი და ყველასთვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ, მოდი, მაინც დავაზუსტებთ, რომ იტალიის ნაკრების ახალგადამდგარი მწვრთნელი და გერმანია 2006-ის ტრიუმფატორი გახლავთ ერთადერთი, ვისაც ჩემპიონთა ლიგაც მოუგია და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც. სხვა სიტყვებით, მას მაქსიმუმისთვის საკლუბო დონეზეც მიუღწევია და სანაკრებოზეც. ქვემოთ მარჩელო ლიპისა და fifa.com-ის საუბარს გთავაზობთ**



**— სინიორ ლიპი, რას აკეთებდით მას შემდეგ, რაც მსოფლიოს თასი აღმართეთ?**

— ვისვენებდი, ოჯახთან ვატარებდი დროს, ვთევზაობდი. თუმცა არც იმას დაგიმალავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშების ჩანაწერებს ვუყურებდი. ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ მუნდიალი ჩემთვის უკვე წარსულია. სხვა თუ არაფერი, ხალხი დღემდე ამ თემაზე მელაპარაკება.

**— თქვენთვის საუკეთესო დრო დგას?**

— მსოფლიოს ჩემპიონობა ყველაზე დიდი ტიტულია. ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასიც ძალიან პრესტიჟული ჯილდოებია, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული ხიბლი ყოველთვის მსოფლიოს თასს ჰქონდა. ეს თასი ყველაზე ზევითაა.

**— რას ეფუძნებოდა თქვენი ტრიუმფი?**

— კლუბსა თუ ნაკრებში მწვრთნელისთვის მთავარია, შეძლებისდაგვარად საუკეთესო შემადგენლობა შემოიკრიბოს. ამ ნათქვამში შესაძლოა, ახალი არაფერია, მაგრამ ამის მიუხედავად, ფუნდამენტური მნიშვნელობა სწორედ შემადგენლობის შერჩევას ენიჭება და გუნდის თამაშის სტილსაც ეს განსაზღვრავს. იტალიაში ყველა გუნდი ერთი სისტემით როდი თამაშობს, ამიტომ მე იძულებული ვიყავი, ჩემი რჩეული მოთამაშეებისთვის ტაქტიკა მომერგო. ღრმად მწამს, რომ მწვრთნელი ფეხბურთელებს თავისი ტაქტიკის მიხედვით კი არ უნდა არჩევდეს, პირიქით, არსებულ ფეხბურთელებს უნდა უსადაგებდეს ტაქტიკას. მერედა, ვილაცები აუცილებლად დაშავდებიან, რაც ვარიაციების აუცილებლობის წინაშე გაყენებს. გუნდს ნაირგვარი სქემით თამაში უნდა შეეძლოს, რათა ამა თუ იმ მოულოდნელობამ ხახამშრალი არ დაგტოვოს.

**— კლუბისა და ნაკრების მწვრთნელობას შორის დიდი განსხვავებაა?**

— ზოგი ფიქრობს, რომ ნაკრების მწვრთნელობა ფეხბურთელების არჩევაა და მეტი არაფერი, მაგრამ ამ აზრს არ ვეთანხმები. ფეხბურთელები ჩემს განკარგულებაში თითო კვირით აღმოჩნდებოდნენ და მე ამ კვირის განმავლობაში მათ ვხელმძღვანელობდი, მაგრამ მერე ისინი კლუბებში ბრუნდებოდნენ და მათ მხოლოდ და მხოლოდ ვაკვირდებოდი. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ფეხბურთელები 50 დღის განმავლობაში იყვნენ ჩემთან და მხოლოდ ფიზიკურ და ტაქტიკურ ასპექტებში კი არ ვწვრთნიდი, ტექნიკურ და მენტალურ საკითხებზეც ვმუშაობდი. ნაკრების მწვრთნელის მთავარი ამოცანა გუნდის ერთსულოვან ორგანიზმად გარდასახვაა.

**— მოდი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გავიხსენოთ. როგორი იყო ამ თამაშისადმი თქვენი მიდგომა?**

— ისეთივე, როგორიც წინა მატჩებისადმი. ჩვენ სათამაშო სისტემა ჩემპიონატის მესამე შეხვედრაში შევცვალეთ. თავიდან, ფრანჩესკო ტოტის ორი თავდამსხმელის უკან ვაყენებდი, მაგრამ ის შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ ამჟღავნებდა. მოკლედ, მოედნის მისეული ხედვისა და ალღოსგან, მეტი ვერ მივიღეთ და სისტემის შეცვლა მოგვიხდა. ახალი, უსაფრთხო სისტემის წყალობით კი ფეხბურთელებმა საკუთარი თავისაც მეტად ირწმუნეს და რაც შეეძლოთ უფრო გამოამჟღავნეს. მაგალითად, ჯენარო გატუზომ და ჯანლუკა ძამბროტამ დაიჯერეს, რომ გამარჯვება შეუძლიათ, ამასთან ერთად კი ფიზიკური მომზადებაც გაუმჯობესდა. გულწრფელად გეტყვით, ჩემი აზრით, ზუსტად იგივე გადახდათ ფრანგებსაც.

**— უშუალოდ ფინალს როგორ აღწერდით?**

— პირველი ტაიმი ჩინებულად ვითამაშეთ, მაგრამ მერე, 120 წუთიანი ნახევარფინალით დაღლილებს, ფიზიკური და მენტალური პრობლემები მოგვერია. შესვენების შემდეგ საფრანგეთის ნაკრებს თამაშის საუკეთესო მონაკვეთი დაუდგა. მაშინ მივხვდი, რომ გუნდში მეტი ფოლადი იყო საჭირო, ოღონდ თავდასხმის მოსუსტების გარეშე. სწორედ ამ მოსაზრებით შევუშვი მოედანზე ვინჩენცო იაკინტა და დანიელე დე როსი. ამ ცვლილებების შემდეგ ჩვენი გუნდი უკეთ დაბალანსებული ჩანდა.

**— თქვენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული იტალიური ფეხბურთის კრიზისის დღეებში მოიპოვეთ. როგორ აერიდეთ ამ ხაფანგს?**

— თუ შესარჩევ ციკლს გაიხსენებთ, გამოდის, რომ მუნდიალისთვის მთელი წელიწადი ვემზადებოდით. წელიწადიც მშვენივრად დაიწყო, ამხანაგურებში თვით გერმანიას და ჰოლანდიას ვაჯობეთ. ჩვენ ნელ-ნელა ვიზრდებოდით და ფეხბურთელებს სწამდათ, რომ გამარჯვება შეეძლოთ. სხვათა შორის, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, იტალიურ ფეხბურთში ატეხილმა სკანდალმაც ჩვენთვის დადებითი ენერგია წარმოშვა. ფეხბურთელებს მთელი მსოფლიოსთვის უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ მთელი ეს სიბინძურე მათ არანაირად არ ეხებოდათ.

**— სწორედ ეს გვაინტერესებს, როგორ მოახერხეთ ამ დადებითი ენერგიის მიღება?**

— მინდა, ახალგაზრდა მწვრთნელებს ვუთხრა, რომ წარმატების საწინდარი, ტაქტიკური ან ტექნიკური შინაარსის დავალებების გაცემა სულაც არ არის. მწვრთნელის საქმე გუნდის მართვაა, ფეხბურთელებს უნდა სწამდეთ, რომ შენ მათ უდიდეს მიზნამდე მიიყვან. სხვათა შორის, სულერთია რომელ მეთოდს მიმართავ, მათთან მეგობრულად ხარ თუ მკაცრად ექცევი, ვალდებული ხარ შექმნა გუნდი და ეს მხოლოდ თერთმეტი მოთამაშის მოედანზე გაშვებას არ ნიშნავს. აქ საქმე გვაქვს ორგანიზმის სრულყოფილ მართვასთან.

**— საბოლოოდ, რამდენად გადამწყვეტი გამოდგა სათამაშო სისტემის რეალობასთან მორგების თქვენეული უნარი?**

— მიყვარს გუნდები, რომლებიც სიტუაციიდან გამომდინარე სისტემას ცვლიან, თუნდაც ეს ცვლილება მატჩის მსვლელობისას გახდეს საჭირო. მე არ განვეკუთვნები იმ მწვრთნელებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სიტუაციის ნებისმიერი ცვლილებისას, მთავარია არჩეული სისტემის შენარჩუნების ოსტატობა. ტაქტიკის ცვლას ცოდნა სჭირდება. კლუბში ეს საქმე უფრო ადვილია, რადგან მწვრთნელი ფეხბურთელებთან ყოველდღეა, ნაკრების თავკაცი კი მათ დროგამოშვებით ხედავს, თუმცა გარკვეულ ხანში შესანიშნავი ურთიერთგაგების ჩამოყალიბება აქაც შესაძლებელია.

**— თავად თუ გყავდათ მენტორი?**

— ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა მწვრთნელმა, მეც ჩემი თითოეული ხელმძღვანელისგან ვისწავლე რაღაც, მაგრამ ფულვიო ბერნარდიმ, რომლის ხელმძღვანელობითაც 70-იან წლებში ნაკრებში ვთამაშობდი, როგორც ფსიქოლოგმა, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის იყო ძლიერი პიროვნება და ამ სიძლიერეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი ქცევით აღწევდა.

**— დღევანდელ ფეხბურთზე რას იტყვით?**

— ყველანაირი ფეხბურთი მიყვარს. დაუსრულებლად ვუყურებ თამაშებს და ვერ ვძღები, მაგრამ ვიმეორებ, არ მიყვარს, როდესაც მწვრთნელები მოთამაშეებს თავიანთ სისტემაზე მორგებას აიძულებენ. ფეხბურთი თავისთავადი უნდა იყოს, ის თვითონ არის სრულყოფილი და სწორედ ეს აღმაფრთოვანებს.

# ზანტის ადვოკატი მორატი

## ადრიანო ცუდია, მაგრამ კარგია



მასიმო მორატი

**მილანის** „ინტერის“ მფლობელმა მასიმო მორატიმ ლისაბონის „სპორტინგთან“ მარცხზე ისაუბრა. იტალიურ პრესაში კი „ნეროაძურის“ წაგებას მორიგი კრიტიკის ულუფა მოჰყვა.

„არ გეგონოთ, თავს ვიმართლებდე ან ფეხბურთელებს ვიცავდე. ცუდად ვითამაშეთ. ბევრი მოთამაშე ფორმაში არ არის. ვიცოდით, რომ მძიმე მატჩი გველოდა, მაგრამ კონცენტრირება მაინც ვერ შევძელით. მეტოქემ მართლაც ლამაზი გოლი გაგვიტანა და ველარაფერი მოვახერხეთ. სათქმელიც მეტი არაფერია. უბრალოდ, მომავალი მატჩისთვის უკეთ უნდა მოვემზადოთ“ — აღნიშნა მორატიმ.

ლისაბონში „ინტერი“ მართლაც ინერტული იყო და მეტოქის კარისკენ იშვიათად ურტყამდა. ბოლო 20 წუთი კი „ნეროაძურიმ“ ათი კაცით ჩაამთავრა, რადგან პატრიკ ვიეირამ ორჯერ უხეშობის გამო ყვითელი ბარათები აიკიდა.

მასიმო მორატი: „ცუდად კი გამოვიყურებოდით, მაგრამ რამდენიმე მოთამაშე მომეწონა. მაგალითად, ოლივიე დაკური და ზლატან იბრაჰიმოვიჩი. რაც შეეხება ვიეირას, მან ორი უაზრო ჯარიმა „აიკიდა“ და წითელი ბარათი ტყუილად მიიღო. უფრო ყურადღებით თამაშია საჭირო“.

„ინტერის“ რიგებში ერთ-ერთი ყველაზე ზანტი და უსარგებლო კვლავ ადრიანო იყო. მას „ნეროაძურის“ მაისურით ოფიციალურ შეხვედრაში მარტის მერე არ გაუტანია გოლი და კრიტიკაც არ აკლია. თუმცა მორატიმ ბრაზილიელი დაიცვა. ეს აპენინურმა მედიამ რობერტო მანჩინის წინააღმდეგ ნაბიჯად აღიქვა, რადგან ამბობენ, მილანელთა მწვრთნელი ცუდ ფორმაში მყოფ ადრიანოს ალმაცერად უყურებს და ძირითად შემადგენლობაში მისი დაყენება არ სურსო.

„ადრიანო ნელ-ნელა უმატებს და იმედია, მალე ძველებურ ფორმას აღიდგენს. ამ მატჩის გამო მისი გალანძღვა და ჩამოწერა არასწორია. პრობლემა მხოლოდ მასში არ არის. პასიურად მოთამაშე ნახევარდაცვა ადრიანოს ფლანგისკენ ჩანაცვლებას აიძულებს ხოლმე, რაც კარგი არაა“ — დასძინა მორატიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამდღიანი ბაზარი ბერლინში

## დომენეკმა თავდასხმაზე ლექცია წაიკითხა



**ბერლინში** უეფამ სამდღიანი კონფერენცია რომ გამართა და ამ კონფერენციას ყველა ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელები, ტექნიკური დირექტორები და ექსპერტები რომ დაესწრნენ, ცნობილი ამბავია. ახლა ისა ვთქვათ, რაზე საუბრობდა ეს პატივცემული ხალხი ამ სამი დღის განმავლობაში. ერთ-ერთი თემა გახლდათ ერთი თავდამსხმელით თამაშის თავისებურებანი, მეორე — ოფსაიდი, მესამე — მსოფლიოს ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის მატჩებში გამოკვეთილი ტექნიკური და ტაქტიკური თავისებურებები და სხვა.

დავიწყოთ ერთი თავდამსხმელით, რაც ბევრი კრიტიკოსის აზრით, იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში მაღალი კლასის ფორვარდები აღარ არიან და შესაბამისი ტაქტიკური სქემებიც ამით არის განპირობებული, თუმცა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი, რაიმონ დომენეკი სხვა აზრის გახლავთ:

„არ ვეთანხმები კრიტიკოსებს — ბრძანა მან — მსოფლიოს ჩემპიონატი ნათელი დასტური იყო იმისა, რომ თავიანთი გუნდების წარმატებაში უდიდესი წვლილი სწორედ თავდამსხმელებს შეაქვთ. შესაძლოა, მათ ბევრი გოლი ვერ გაიტანეს, მაგრამ მეტოქეებს ნიადაგ დიდი სირთულეების წინაშე აყენებდნენ და თანაგუნდელებისთვის სივრცეებს ათავისუფლებდნენ. ფინალში სწორედ ის გუნდები გავიდნენ, რომლებიც ერთი თავდამსხმელით გამოდიოდნენ და ეს თავდამსხმელები სამ შემტევ ნახევარმცველს აძლევდნენ მწვავე თამაშის საშუალებას“.

საკითხს ოდნავ სხვანაირად შეხედა უეფას ტექნიკურმა დირექტორმა, შოტლანდიელმა ენდი როქსბურგმა. მან თქვა:

„მსოფლიოს ჩემპიონატმა დაამტკიცა, რომ მთავარი თავდამსხმელების რაოდენობა კი არ არის, გუნდის დაბალანსებაა. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ იყენებთ საკუთარ ფეხბურთელებს: რამდენიმე წლის წინ ფლანგიდან საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებისას იქ ოთხი ფეხბურთელი იდგა, ახლა სამი-ოთხი კაცი საჯარიმოში კი აღარ დგას, სიღრმიდან შერბის. რაც შეეხება თავდამსხმელთა რაოდენობას, „ბარსელონაც“ ერთი ნომინალური თავდამსხმელით თამაშობს, მაგრამ განა ეს დაცვითი ფეხბურთია? ბევრი რამ იმ ერთადერთი თავდამსხმელის ოსტატობასა და სხვათაგან მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. ცხადია, თუ ერთ თავდამსხმელს მოედნის ცენტრში დააყენებთ, დანარჩენები კი თავს დაიცავენ და მოპოვებულ ბურთს მისკენ გადააგდებენ, ხელში დაცვითი ფეხბურთი შეგრჩება, თუმცა ყველა ერთფორვარდიანი კლუბი ასე როდი თამაშობს“.

მეორე თემა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თამაშგარე მდგომარეობა გახლდათ. როქსბურგის თქმით, ამ წესის შესახებ მწვრთნელებს სრულიად განსხვავებული აზრი აქვთ — ზოგს მისი ახლანდელი რედაქცია მოსწონს, ზოგს ძველებურზე დაბრუნება სურს. ადრე ასე იყო: თუ მცველებს უკან შემტევი გუნდის თუნდაც ერთი მოთამაშე ჩარჩებოდა, მსაჯი ალამს სწევდა.

„ყველასთვის ცხადია, რომ თამაშგარე მდგომარეობა ერთ-ერთი მთავარი წესთაგანია, რომლის გარეშე ფეხბურთი მთელ ხიბლს დაკარგავდა, მაგრამ აუცილებელია ეს წესი ერთხელ და საბოლოოდ დადგინდეს. იმაში, რომ თანამედროვე ფეხბურთი ფრთხილია, დამნაშავე მნიშვნელოვანწილად ოფსაიდის წესია“.

და კიდევ ერთი: რატომ უნდა ისჯებოდეს ფეხბურთელი ერთი დანაშაულისთვის სამმაგად? აქ ლაპარაკია საკუთარი საჯარიმოში მეტოქის არაუხეშად(!) წაქცევაზე. ეს სამი სასჯელია პენალტი, წითელი ბარათი და შემდეგი მატჩის გამოტოვება. არის იდეა, რომ თუ მცველმა არ იუხეშა, მსაჯმა მხოლოდ ყვითელი აკმაროს.

**ბაჩუნა ძიძია**

# რიკელმე წავიდა



**ოცდარვა** წლის ხუან რომან რიკელმემ გამოაცხადა, რომ ნაკრებს ეთხოვება და ამიერიდან მხოლოდ საკლუბო ფეხბურთს ითამაშებს.

ელეგანტურმა პლეიმეიკერმა მიზეზად საოჯახო ამბავი დაასახელა: დედაჩემი ჯანმრთელად ვერ არისო.

„ამ ზაფხულს ის ორჯერ მოხვდა საავადმყოფოში — თქვა რიკელმემ — ცხადია, დედას მეტი დრო უნდა დავუთმო. იოლი გადასაწყვეტი იყო: ოჯახი ფეხბურთზე წინ დგას“.

რიკელმემ ლონდონში გამართული ამხანაგურ მატჩში უკაპიტნა არგენტინას ბრაზილიის წინააღმდეგ. როგორც გაირკვა, ეს, 0:3-ზე წაგებული თამაში იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა ნაკრებში.

„რა თქმა უნდა, მტკივნეულია სანაკრებო მაისურის გარეშე ცხოვრება, მაგრამ დედის ჯანმრთელობა ძალიან მაშფოთებს. იმასაც კი ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ატეხილმა კრიტიკამ მასზე ცუდად იმოქმედა — ეჭვობს ვარსკვლავი — გადაწყვეტილება ნაკრების მწვრთნელ ბასილეს ვამცნე. მოკლე ლაპარაკი იყო. მადლობა ვუთხარი, რომ თავის პირველ თამაშზე გამომიძახა“.

სულ კი რიკელმე 9 წელიწადს იყო არგენტინის ნაკრებში და ჯამში 3[illegible] ჯერ ითამაშა ქვეყნის სახელით.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ნარკომანი ყოფილა



**შვედი** მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი სულ რამდენიმე თვეა, უმუშევარია და უკვე ფეხბურთში დაბრუნების სურვილი ჰკლავს. გამოცდილ სპეციალისტს იტალიური ფეხბურთი მონატრებია და სერია A-ს რომელიმე კლუბის თავკაცობა უნდა.

„ორ თვეზე ცოტა მეტი გავიდა, რაც ინგლისის მწვრთნელი აღარ ვარ და უმუშევრად უკვე ველარ ვძლებ. ფეხბურთი ჩემთვის ნარკოტიკივითაა, მის გარეშე არ შემიძლია. ამიტომ მწვრთნელობას რაც შეიძლება მალე უნდა დავუბრუნდე. განსაკუთრებით იტალიური ფეხბურთი მენატრება“ — განაცხადა სკანდინაველმა.

ერიკსონს იტალიაში კარგად იცნობენ. იგი „სამპდორიას“, „რომას“, „ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ წვრთნიდა. ყველაზე დიდ წარმატებას „ლაციალესთან“ ერთად მიაღწია — მოიგო სკუდეტო, ორჯერ იტალიის თასი და თასების თასი.

„არსენალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ და ერთ-ერთი იტალიური კლუბი? ნებისმიერი ვარიანტი მაკმაყოფილებს. მაინცდამაინც გრანდის მწვრთნელობა არ მინდა და საქმე საქმეზე თუ მიდგა, რომელიმე ნაკრების ჩაბარებაზეც არ ვიტყოდი უარს“ — თქვა ერიკსონმა.

შვედს რამდენიმე კლუბი დირექტორთა საბჭოში სთავაზობდა ადგილს, მაგრამ მას ამგვარი პოსტი არ აკმაყოფილებს: „ჯერ ეს არ მხიბლავს. მინდა, კიდევ რამდენიმე წელი მწვრთნელად ვიმუშაო და მჯერა, მალე ამის შანსი ისევ მომეცემა“.

**კოკი კანდელაკი**

# ბესტი იყიდეს, რიველინო არა



ჯორჯ ბესტის მაისურა

**ჯორჯ ბესტის** ერთ-ერთი ლეგენდარული მაისურა 24 ათას გირვანქად გაიყიდა.

ეს „მანჩესტერული“ მაისურა ბესტს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ სათასო თამაშში ეცვა „ნორთჰემპტონის“ წინააღმდეგ, 1970 წელს.

თამაში „მანჩესტერმა“ 8:2 მოიგო და იგი ისტორიაში შესულია, როგორც ბესტის მიერ მოწყობილი სპექტაკლი. ის 6-კვირიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა მინდორს და 6 გოლი გაიტანა. მაისურა უცნობმა პირმა შეიძინა აუქციონზე.

იქავე, 3,600 გირვანქად გაიყიდა მაისურა, რომელიც ბობი მურს ეცვა თავის უკანასკნელ მატჩში „ფულემსა“ და „ბლექბერნს“ შორის, 1977 წელს.

იქავე იყო „ჩელსის“ კაპიტნის ედ „მჩეხავ“ ჰარისის 1970 წლის სათასო მედალი, რომელიც 13,200 გირვანქად შეიძინეს. მოლოდინის მიუხედავად, 35 ათასად შეფასებული რიველინოს მაისურა, რომელიც ბრაზილიელს 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ეცვა, საერთოდ არ გაიყიდა.

იმავე მატჩში პელეს ნაცვამი მაისურა ჯერ კიდევ 2002 წელს, 157,750 გირვანქად გასაღდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური

## E ჯგუფი

# ეს კინო შარშანაც ვნახეთ: რეალი ლიონში ჩადის და...

**დინამო 1:4 სტიაუა**

**0:1 გიონია (3), 1:1 რებროვი (16), 1:2 ბადია (24), 1:3, 1:4 დიკა (43, 79)**
**დინამო: შოვკოვსკი, მარკოვიჩი (ხოსე მორენო 61), როდოლფო, როდრიგო, ნესმაჩნი, ო. გუსევი, იუსუფი, კორეა (ბელკევიჩი 59), რინკონი, რებროვი (ოტალვარო 73), შაცკიხი**
**მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო**
**სტიაუა: კ. ფერნანდეში, საბანი, გოიანი, გიონია, ნესუ, ნიკოლიტა, პარასკივი, ლოვინი, კრისტოჩია (ოპრიტა 74), დიკა (ო. პეტრე 82), ბადია (ტერეაუ 70)**
**მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ**
**გაფრთხილება: ნესუ, ფერნანდეში, გიონია**
**მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)**
**35 000 მაყურებელი**

**კიევის** „დინამოს“ 4:1 დამარცხება იოლი საქმე არ არის, მით უფრო კიევში და მით უფრო, ბუქარესტის „სტიაუა“ რომ ხარ.

„სტიაუა“, მოგეხსენებათ, რუმინულად ვარსკვლავს ნიშნავს და რუმინულმა გუნდმა ამ დღეს თავისი სახელი აბსოლუტურად გაამართლა, უკვე მე-3 წუთზე ანგარიში 1:0 იყო სტუმრების სასარგებლოდ. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შორეულ ძელთან მდგომი მცველი სორინ გიონია შეხვდა და თავური შეაგდო. კიდევ სამ წუთში ბუქარესტელებმა დაცვაში გაიბრწყინეს — იუსუფის დარტყმული რაჰმან საბანმა კარის ხაზიდან გამოაგდო, თუმცა მერე გაირკვა, რომ წამით ადრე კიეველები „სტიაუას“ მეკარეს კარლოს ფერნანდესს დასხმიან თავს და გოლი რომც გასულიყო, მაინც არ ჩაითვლებოდა. მე-16 წუთზე კი „დინამომ“ ანგარიში გაათანაბრა — სერგეი რებროვმა დაბალი დარტყმით თავისი მე-20 გოლი შეაგდო ჩემპიონთა ლიგაში. სხვათა შორის, რებროვს, მერე „დინამოს“ დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ცას დაუმიზნა.

24-ე წუთზე „სტიაუამ“ ისევ თავურით გაიტანა. ნიკოლაე დიკას ჩაწოდებულს ვალენტინ ბადიამ მიუჩინა მეტოქის კარში ადგილი, შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე კი 25 მეტრიდან თავად დიკამ შეაგდო ჯარიმა.

მეორე ტაიმში კიეველებმა ძალღონე მოიკრიბეს და მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, რისთვისაც ყველაზე მეტად სტანდარტულების გამოყენებას ცდილობდნენ, მაგრამ ზურგიც მოიშიშვლეს და დიკამ კონტრშეტევისას ბურთი მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკის გადაუგდო თავზე.

„დინამოს“ მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო: „დაცვაში აურაცხელი შეცდომა დავუშვით. რატომ? თუ მშვიდად არ დავფიქრდებით, ვერ გეტყვით. ვერ გამიგია, რატომ არ აკეთებდნენ ფეხბურთელები იმას, რაც მწვრთნელებმა დავავალეთ“.

„სტიაუას“ მწვრთნელი კოზმინ ოლაროიუ: „ისტორიაში საუკეთესოს ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენი გუნდისთვის ფანტასტიკური საღამო რომ იყო, ფაქტია. ცხადია, გამარჯვებისთვის ვიბრძოდით, მაგრამ გამარჯვება ასეთი თუ გამოვიდოდა რას წარმოვიდგენდით“.




ფრედის „ლიონმა“ „რეალი“
ორი გოლით გაისტუმრა

**ლიონი 2:0 რეალი**

**1:0 ფრედი (10), 2:0 ტიაგუ (31)**
**ლიონი: კუპე, რეველიერი, კრისი, მიულერი, აბიდალი, ტიაგუ, ტულალანი, ჟუნინიო (კალსტრიომი 72), გოვუ (კლერკი 81), მალუდა, ფრედი (ვილტორდი 77)**
**მწვრთნელი: ჟერარ ულიე**
**რეალი: კასილიასი, სისინიო, კანავარო, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, ბექემი (გუტი 55), დიარა, ემერსონი, კასანო (რეიესი 46), რაული (რობინიო 69), ვან ნისტელროოი**
**მწვრთნელი: ფაბიო კაპელო**
**გაფრთხილება: სერხიო რამოსი, რეველიერი, რობერტო კარლოსი, კანავარო, დიარა**
**მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)**
**35 814 მაყურებელი**

**საფრანგეთის** ჩემპიონი ლიგაში ამაზე უკეთეს სტარტს ვერც ინატრებდა — მადრიდის „რეალმა“ წააგო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. წააგო, რადგან „ლიონმა“ აჯობა.

შეგახსენებთ, რომ „ლიონმა“ „რეალს“ ერთი წლის წინაც მოუგო, ოღონდ მაშინ ერთი გოლით მეტი გაუტანა და იმის დასამტკიცებლად, რომ ის გამარჯვება შემთხვევითი არ იყო, ახლაც თავიდანვე შეუტია. უკვე მე-7 წუთზე ბრაზილიელმა ჟუნინიო პერნამბუკანომ მადრიდელთა მეკარეს, იკერ კასილიასს თავისებური საჯარიმო დაურტყა და ოსტატობა შეუმოწმა, ხოლო მე-12 წუთზე ფრედს გრძელი საგოლე პასი ჩააწოდა — ფრედმა ფაბიო კანავაროს აჯობა და ანგარიში გახსნა.

მეორე გოლი სიდნეი გოვუს პასით ტიაგუმ შეაგდო, ხოლო შემდეგ თავად გოვუმ გაარტყა ძელს. სახიფათო მომენტი ჰქონდა ფრედსაც.

„ძალიან ვამაყობ „ლიონის“ მწვრთნელი რომ ვარ — თქვა მატჩის შემდეგ ჟერარ ულიემ — ჩვენ საუცხოო ფეხბურთი ვითამაშეთ. 2:0 მოვიგეთ, მაგრამ უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებაც შეგვეძლო. დღეს უდიდესი თავდაჯერება გამოვამჟღავნეთ და ისეთი გამოცდილება მივიღეთ, მომავალში ფრიად რომ გამოგვადგება“.

„რეალის“ თავკაცი ფაბიო კაპელო: „ლიონელებმა პირველ ტაიმში ტექნიკურადაც გვაჯობეს და ფიზიკურადაც. ჩვენი დაცვა სუსტად თამაშობდა, მოწინააღმდეგე კი სახიფათო მომენტებს ქმნიდა. წინ დიდი სამუშაო გველის, საკუთარი თავისა თავიდან უნდა ვიწამოთ. ეჭვი არ არის, სულ მალე ყველაფერი სხვანაირად იქნება“.

მეორე ტაიმში „რეალმა“ მდგომარეობის გამოსწორება სცადა, მაგრამ მასპინძლებმა მეტად ორგანიზებული დაცვა დაახვედრეს, თუმცა საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე რუუდ ვან ნისტელროოის ერთი გოლის გატანა მაინც შეეძლო.

მადრიდელთა სამწუხაროდ მან ეს ვერ მოახერხა.

**პაპუნა კედია**

## F ჯგუფი

# თავხედი უნდა იყო!

**მანჩესტერი 3:2 სელტიკი**

**0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (21), 1:1, 2:1 საა (30პ, 40), 2:2 ნაკამურა (43), 3:2 სოლსკიაერი (47)**
**მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი, ფლეტჩერი, კარიკი, სქოულზი (ოში 80), გიგზი (სოლსკიაერი 32), რუნი (კ. რიჩარდსონი 86), საა**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**სელტიკი: ბორუცი, უილსონი (ტელფერი 51), კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, გრავესენი, ლენონი, იაროშიკი (კ. მილერი 56), მაკგიდი (მელოუნი 69), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი**
**მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი**
**გაფრთხილება: სილვესტრი, ბორუცი, მილერი**
**მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)**
**74 031 მაყურებელი**

**დიახ, ამ** მატჩის გმირი ოლე გუნარ სოლსკიაერი გახდა, რომლის გოლმაც წლების წინანდელი „მანჩესტერი“ გაგვახსენა.

სულ ახლახან იყო, რომ 1999 წლის ლიგის ფინალის გმირის მოედანზე დაბრუნებას და, მით უმეტეს, გადამწყვეტი გოლების გატანას ვინძლო ბევრი ვერ წარმოიდგენდა. იმ ფინალის გმირი კი ორწლიანი უქმობის მერე დაბრუნდა და „სელტიკთან“ სალიგო მატჩში გამარჯვების გოლიც გაიტანა. ამ გოლამდე კი უაღრესად დრამატული პირველი ტაიმი იყო.

საწყის წუთებში მოედანზე ყველაზე აქტიური უეინ რუნი იყო, ვინც მისი უშუალო მოვალეობის გარდა, მეტოქის შეტევების ჩაშლითაც იყო დაკავებული.




ორგოლა ლუი საა

„მანჩესტერის“ სასტარტო მოწადინების შემხედვარე იფიქრებდით, რომ ინგლისური გოლი მალე გავიდოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა: პირველი გოლი ინგლისელთა კარში გავიდა. ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა პირველად რომ მოატყუა რიო ფერდინანდი, ზუსტი დარტყმა არ გამოუვიდა, აი, ფერდინანდის მეორედ მოტყუებისას კი უფრო ზუსტად გაისროლა და ანგარიში გახსნა. სხვათა შორის, ვენეგოორ ოფ ჰესელინკს საგოლე პასი მეკარემ მისცა.

„მანჩესტერი“, ცხადია, ის გუნდი არ არის, იოლად დანებდეს. გაშვებული გოლიდან მცირე ხანში რაინ გიგზის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ლუი საამ გაათანაბრა. საამვე ათ წუთში თავისიანები დააწინაურა. ფრანგს საგოლე პასი პოლ სქოულზმა მისცა. მაგრამ „სელტიკმა“ ბრძოლა განაგრძო და შედეგიც მოიმკა: უეს ბრაუნმა ირჟი იაროშეკი წააქცია, ნიკამურამ კი რაღაც ეშმაკური ტრაექტორიით ბურთი ვან დერ სარის კარში შეაგდო.

ტაიმიც ამით დამთავრდა. მეორის დაწყებისთანავე კი სოლსკიაერის გოლი გავიდა, რაზეც თავში უკვე მოგახსენეთ.

**კოპენჰაგენი 0:0 ბენფიკა**

**კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი, ჰანგელანდი, გრავგაარდი, ბერგდოლმო, სილბერბაუერი, ნორეგაარდი, ლინდეროტი, ჰატჩინსონი, გრონკიაერი (კვისტი 45), ბერგლუნდი (პიმპონგი 74)**
**მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი**
**ბენფიკა: კიმი, ალსიდესი, რიკარდუ როჩა, ლუიზაო, ლეო, პაულუ ჟორჟე, კაცურანისი, პეტიტი, სიმაო (მანუ 81), ნუნუ გომეში (ფონსეკა 90), ნუნუ ასისი**
**მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში**
**გაფრთხილება: ალსიდესი, ნორეგაარდი**
**მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)**
**40 000 მაყურებელი**

**კარგი** მაგალითი ქართველ ურწმუნოებს: „კოპენჰაგენის“ დარ კლუბებსაც შეუძლიათ ლიგის კარის შეღება და იქ ქულების მოგროვებაც...

დანიის ჩემპიონი ლიგის დებიუტანტია და მიუხედავად ამისა, მის მწვრთნელს სტალე სოლბაკენს „თავხედობა“ ეყო და თქვა, ჩემპიონთა თასის ოდინდელი მფლობელი „ბენფიკა“ ჩვენგან სამ ქულას ან წაიღებს, ან არაო. ასეც მოხდა და, გადაჭედილი ტრიბუნების წინ დანიელებმა გოლი არ გაუშვეს. ობიექტურობისთვის ისიც ვთქვათ, რომ მასპინძლები პორტუგალიელთა მეკარე კიმის კარს თითქმის არ დამუქრებიან, მაგრამ რიგ ეპიზოდებში, განსაკუთრებით საწყის 20 წუთში, სათამაშო უპირატესობა სწორედ „კოპენჰაგენისა“ იყო.

„ბენფიკას“ მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ბენფიკელმა პაულუ ჟორჟემ ბურთი ძელს გაარტყა.

**კოტე კეკელია**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური

## C ჯგუფი

# თომას დოლი: არ იყო! არსენ ვენგერი: იყო!

**ჰამბურგი 1:2 არსენალი**

0:1 ჟილბერტო სილვა (12პ), 0:2 როსიცკი (53), 1:2 სანოგო (90)

**ჰამბურგი:** კირშტაინი, დემელი (მაჰდავიკია 54), რაინჰარდტი, კომპანი, მატიისენი, იაროლიმი, დე იონგი, ტროხოვსკი, ვიკი (ვეხტერი 11), სანოგო, ლიუბოია (გერერო 82)

მწვრთნელი: თომას დოლი

**არსენალი:** ლემანი, ებუე, ტურე (ჰოიტი 29), ჟირუ, გალასი, გლები (ფლამინი 69), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ვან პერსი (ჟულიო ბაპტისტა 70), ადებაიორი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაძევება: კირშტაინი (10)

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

50 389 მაყურებელი

**რთულად** წარმოსათქმელი გვარის პატრონმა პეტერ ფროიდფელდტმა „ჰამბურგი“ რთულ ვითარებაში ჩააგდო, როცა მეათე წუთზე მეკარე საშა კირშტაინი გაუძევა. არსენალელი რობინ ვან პერსი გოლკიპერთან პირისპირ გავიდა, რაც ვან პერსის წაქცევით, მეკარის გაძევებით და პენალტით დასრულდა, რომელიც ჟილბერტო სილვამ გაიტანა.

მასპინძელთა მწვრთნელი თომას დოლი: „გაუგებარია, რატომ დანიშნა მსაჯმა პენალტი და რატომ გააძევა მეკარე. თამაშის შემდეგ გამეორებით ვნახე მომენტი და აშკარად ჩანს, რომ კირშტაინი ვან პერსის არ შეხებია. გაძევებამ მთელი ჩემი გეგმები არია. „არსენალის“ დარ მეტოქესთან მეათე წუთზე 0:1-ს რომ აგებ და თან კაცნაკლული დარჩები, მერე თამაშის შემობრუნება თითქმის შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, თერთმეტნი არ წავაგებდით“.

არსენ ვენგერი: „ნამატჩევს მომენტი აღარ მინახავს, მაგრამ ვფიქრობ, რომ პენალტი იყო, თუმც მეკარის გაძევება მსაჯს ნამეტანი მოუვიდა. „ჰამბურგს“ დაემართა ის, რაც ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გადაგვხვდა“.

ალბათ გახსოვთ, რომ ფინალში „არსენალს“ იენს ლემანი გაუძევეს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ ცხრა მატჩში გოლი არ გაეშვა და ეს სერია გუშინწინ, ჰამბურგელმა ბუბაკარ სანოგომ 853-ე წუთზე შეუწყვიტა.



საშა კირშტაინი და რობინ ვან პერსი

ჟილბერტოს პენალტამდე მასპინძლებს რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვიკიმ, სანოგომ და ლიუბოიამ ვერ გამოიყენეს, სტუმართა დაწინაურების შემდეგ კი „ჰამბურგი“ თითქოს გატყდა და უპირატესობა „არსენალისკენ“ გადავიდა. როსიცკის პასით ვან პერსის შეეძლო ანგარიშში სხვაობის გაზრდა, თუმც ვეხტერმა აჯობა, რომელიც გაძევებული კირშტაინის ნაცვლად ჩადგა კარში.

ტაიმის მიწურულს მასპინძლები ისევ გამოცოცხლდნენ. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კომპანიმ დაჰკრა და ააცილა, ხოლო ლიუბოიას დარტყმული ლემანმა მოიგერია.

მეორე ნახევარში თომას დოლმა ქულის გადასარჩენად ერთი მცველი, შემტევი მაჰდავიკიათი შეცვალა, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან მანამდე ტომაშ როსიცკიმ საუცხოო გოლი გაიტანა — დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი მარჯვენა მაღალ კუთხეში შეაგდო. აღსანიშნავია, რომ როსიცკისთვის ეს იყო პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგაში 2002 წლის შემდეგ. 2002-ში კი, როცა „დორტმუნდში“ თამაშობდა, ბოლო გოლი სწორედ... „არსენალის“ კარში გაიტანა.

„ჰამბურგმა“ ბოლომდე იბრძოლა და ერთხელ მაინც შეძლო ლემანის კარის „შელება“ — ბუბაკარ სანოგომ გერმანელი მეკარის „მშრალი“ სერია ჩემპიონთა ლიგაში, თამაშის ბოლო წუთზე შეწყვიტა.

**პორტუ 0:0 ცსკა**

**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბრუნო ალვეში, ეზეკეიაში, ლუჩო გონსალესი, პ. ასუნსაო, ანდერსონი, სეკტიუი (პოშტიგა 46), ადრიანუ (ლ. ლოპესი 71), კვარესმა (ალანი 61)

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

**ცსკა:** აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, კრასიჩი, რახიმიჩი, ალდონინი, ჟირკოვი, კარვალიუ (რ. გუსევი 90), ვაგნერ ლავი (ოლიჩი 76), დუდუ (ვ. ბერეზუცკი 88)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

გაფრთხილება: რახიმიჩი, დუდუ, ჟირკოვი

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

40 000 მაყურებელი

**უგოლო** მატჩში ერთი კაცი უნდა გამოვარჩიოთ — ანდერსონ ლუის დე აბრეუ ოლივეირა, ანუ ანდერსონი. 18 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი დღეს ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლება. ცსკა-სთან შეხვედრაში თავისი ასაკის კვალობაზე საკმაოდ კარგად ითამაშა და მოსკოველთა ნახევარმცველი ელვერ რახიმიჩი დატანჯა. ანდერსონმა, რომელიც „გრემიოში“ თამაშობდა და „პორტუში“ ამ წლის დასაწყისში გადავიდა, მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზე 2005-ში „ადიდასის ოქროს ბურთი“ მიიღო. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ჩემპიონთა ლიგაში კი სადებიუტო მატჩი ჰქონდა და ყველაზე გამორჩეული იყო თავის გუნდში.

რაც შეეხება თამაშს, უფრო მეტი მომენტები მასპინძლებმა შექმნეს, ანდერსონმა ერთხელ ძელს გაარტყა ბურთი, მისმა თანამემამულე ადრიანუმ კი რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი გააფუჭა.

„პორტუს“ მწვრთნელი ჟესუალდო ფერეირა: „ჩემს ფეხბურთელებს საკმაოდ ბევრი მომენტი ჰქონდათ და სამწუხაროა, რომ გოლით ერთიც ვერ დაასრულეს. მეტოქემ კი არ გარისკა და ძირითადად დაცვაზე იზრუნა. ეს მატჩი მომდევნო თამაშებისთვის მოსამზადებლად გამოგვადგება, თუმც დასანანია, რომ სამი ქულა ვერ ავიღეთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## H ჯგუფი

# დალილავებული ძელები ბრიუსელში

**მილანი 3:0 აეკ**

1:0 ინძაგი (17), 2:0 გურკუფი (41), 3:0 კაკა (77პ)

**მილანი:** დიდა, კაფუ, შიმიჩი, მალდინი, ფავალი (იანკულოვსკი 78), გატუზო, ბროკი (ამბროზინი 75), გურკუფი, კაკა, ინძაგი, რ. ოლივეირა (ზეედორფი 70)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**აეკ:** სორენტინო, პაუტასო, დელასი (ივიჩი 55), ჩირილო, ციორციოპულოსი, კაპეტანოსი (ლაგოსი 46), ემერსონი (ტოშერი 70), მორასი, ჟულიო სეზარი, დელიბაშიჩი, ლიბეროპულოსი

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: მალდინი, ჩირილო, მორასი

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

31 836 მაყურებელი

**კარლო ანჩელოტის** „მილანმა“ ლორენს ფერერის აეკ-ს იოლად და ლამაზად მოუგო. „როსონერის“ თავი არ მოუკლავს, მაგრამ ბევრად მეტის გატანაც შეეძლო, ხოლო საკუთარ კართან ერთი-ორჯერ თუ შეაქმნევინა ხიფათი მეტოქეს. დიდი მოწონება დაიმსახურა მილანელთა ახალწვეულმა იოან გურკუფმა. ძირითად შემადგენლობაში იგი ანდრეა პირლოს მაგივრად იყო და ძალიან აქტიურიც გახლდათ.

პირველი მომენტი გურკუფის აქტიურობას მოჰყვა. მან ჯენარო გატუზო კარგ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ რინოს სტეფანო სორენტინომ აულო, რომელმაც კიდევ არაერთხელ იხსნა ბერძნები. აეკ-ს ცოტა ხანში კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ანდრეა დელიბაშიჩის თავური დიდამ ზედ კარის ხაზზე გააჩერა.

„მილანმა“ დაწოლა გააძლიერა და გოლმაც არ დაახანა. ჯერ რიკარდო ოლივეირას თავური ასცდა ოდნავ ბერძენთა კარს, მერე კი პაოლო მალდინის ჩაწოდებულს ფილიპო ინძაგიმ დაუხვედრა თავი და ბურთი ცხრიანში გაახვია. ტაიმის მიწურულს კი გურკუფმაც შეაგდო, ასევე თავით, კაკას კარგი პასის შემდეგ.

მეორე ნახევარი იგივე სცენარით გაგრძელდა, მაგრამ „მილანმა“ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო. ინძაგიმ პენალტი მოინადირა, კაკამ კი ზუსტად დაარტყა და 3:0.

„ძალიან გამიხარდა, რომ გავიტანე. ახლა ფიზიკურად კარგ ფორმაში ვარ და ეს საქმეს მიადვილებს. მინდა, „მილანთან“ ერთად მოგება გავაგრძელო და ჩვენი საოცარი ქომაგები კიდევ მრავალჯერ გავახარო“ — თქვა ინძაგიმ, ვისთვისაც ეს გოლი ჩემპიონთა ლიგაში 35-ე იყო.



ფილიპო ინძაგიმ ჩემპიონთა ლიგაში 35-ე გოლი მიითვალა

**ანდერლეხტი 1:1 ლილი**

1:0 პარეხა (41), 1:1 ფოვერჟი (80)

**ანდერლეხტი:** ჟიტკა, ვანდენ ბორე, პარეხა, ვან დამი, დეშახტი, ვანდერეგბილია (იუპაში 68), ბუსუფა, გოორი, ა. ჰასანი, ტშიტე

მწვრთნელი: ფრენკი ვერკუტერენი

**ლილი:** ტ. სილვა, შალმე, პლესტანი, შმიტცი, ტაფორო, ა. კეიტა, კაბაიე (ფოვერჟი 60), ბოდმერი, მაკუნი, ბასტოსი (იულა 60), ოდემვინჟი (ლიხტშტაინერი 88)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

გაფრთხილება: კაბაიე, ბუსუფა, იულა, გოორი

მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

21 107 მაყურებელი

**ამ მატჩში** „ლილმა“ აშკარად უკეთ ითამაშა და საგოლე მომენტიც ბევრად მეტი ჰქონდა, მაგრამ მე-80 წუთამდე ფრანგები აგებდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს „ანდერლეხტის“ კუთხურს ნიკოლას პარეხას ეფექტური და ზუსტი თავური მოჰყვა.

„ლილი“ აქამდეც და ამის მერეც ძალიან აქტიური იყო. ცხადია, უქმად არც ბელგიელები მდგარან და რამდენიმე მომენტიც შექმნეს, მაგრამ... კლოდ პუელის შეგირდებმა „ანდერლეხტის“ კარის ძელს იმდენჯერ მოარტყეს ბურთი, კაცს სათვალავიც აგერეოდა.

მეორე ტაიმში სტუმართაგან ყველაზე აქტიური კეიტა გახლდათ, რომლის ერთი შორეულ გასროლილი ხარიხას მოხვდა, მეორე კი ცოტა წინ გამოსულმა დანიელ ჟიტკამ დიდი გაჭირვებით მოიგერია. საბოლოოდ, სწორედ კეიტას კარგი პასით შეაგდო შეცვლაზე შესულმა ნიკოლა ფოვერჟმა და გუნდებმა ქულა გაიყვეს.

კლოდ პუელი: „მიხარია, რომ ქულა ავიღეთ და ამავე დროს ორ დაკარგულ ქულაზე მწყდება გული, რადგან უპირატესობას ვფლობდით და ბევრჯერ ძელს გავარტყით ბურთი“.

„ანდერლეხტის“ მწვრთნელი ფრენკი ვერკუტერენი: „1:0-ზე არ უნდა გავჩერებულიყავით. ამის გამო დავისაჯეთ, თუმც პირველ ტაიმში ბიჭებმა კარგად ითამაშეს“.

**გიორგი ძაძამიძე**

# B-დან დეშანის ყვირილი ისმის



„იუვენტუსიდან“ ტრეზეგეც გარბის

**ტურინის** „იუვენტუსმა“ იტალიის ფეხბურთის ლიგას, „ბრეშასთან“ სერია **B**-ს 8 ოქტომბრის მატჩის ათი დღით გადაწევა სთხოვა — იმ დროს, ჩვენი სულ ცოტა ექვსი ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებებში იქნება გამოძახებული და ანგარიში გაგვიწიეთო. ეს იდეა „ბრეშას“ არ მოსწონს და თვლის, რომ „ბებერი ქალბატონი“ თავისას თუ გაიტანს, ცუდი პრეცედენტი შეიქმნება.

„იტალიის ფეხბურთის ლიგამ უნდა გაიაზროს, რომ თუ მატჩს 18 ოქტომბრისთვის გადაწევს, მომავალში ჩვენც შეგვეძლება იგივე თხოვნით მივმართოთ მას. ჩვენც გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ და სხვა კლუბებსაც“ — განმარტა „ბრეშას“ სპორტულმა დირექტორმა ჯანლუკა ნანიმ.

ტურინელები ამჟამად „ვიჩენცასთან“ შაბათის მატჩისთვის ემზადებიან და „რიმინისთან“ მოულოდნელი ფრის შემდეგ მოგება სწადიათ. გავრცელებული ცნობით, დიდიე დეშანი თავისი ფეხბურთელების განწყობით უკმაყოფილოა და ერთ-ერთ ვარჯიშზე ხმასაც აუწია. ფრანგი თვლის, რომ მოთამაშეებმა ჯერ კიდე ვერ გაიაზრეს, რა რთული ბრძოლა მოუწევთ სერია **B**-ში და საქმეს ზერელედ ეკიდებიან.

იტალიური პრესა კი გვაუწყებს, რომ დავიდ ტრეზეგემ „დელე ალპის“ დატოვება გადაწყვიტა და მომავალ ზაფხულს წავა. ფრანგ ფორვარდს ტურინელებთან კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს, მაგრამ ფიფას ახალი წესის თანახმად, ფეხბურთელს, რომელიც 28 წელს გადაცილებულია და გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი აქვს დარჩენილი, შეუძლია, წავიდეს. ამ შემთხვევაში მისმა მსურველმა „ბებერ ქალბატონს“ სიმბოლური საკომპენსაციო თანხა უნდა გადაუხადოს, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ტრეზეგეს რეალური ფასი.
| 11250 | ბილბაო-ატლეტიკო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11251 | ესპანიოლი-სელტა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11252 | დეპორტივო-ვილიარეალი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11253 | ოსასუნა-ტარაგონა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11254 | რეალი-სოსიედადი | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11256 | უელვა-ლევანტე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11257 | სევილია-ბეტისი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11259 | ვალენსია-ხეტაფე | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11260 | სარაგოსა-მალიორკა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11261 | რასინგი-ბარსელონა | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 2.00 |
| 11274 | სედანი-ლე მანი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11275 | სოშო-ლანსი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11276 | ტრუა-ნიცა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11277 | ვალენსიენი-ნანტი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11278 | ლილი-ტულუზი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11280 | ლორიანი-ლიონი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11282 | ნანსი-რენი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11283 | სტ.ეტიენი-ოსერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11284 | მონაკო-პსჟ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11285 | მარსელი-ბორდო | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12002 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.60 | 2.00 |
| 12004 | ევერტონი-უიგანი | 1.60 | 2.00 |
| 12005 | შეფილდი-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | უოტფორდი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ბლეკბერნი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12009 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მანჩესტერი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12108 | სელტიკი-დანფერმლაინი | 2.30 | 1.45 |
| 12110 | ფოლკირკი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 12111 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 12112 | მაზერველი-ჰართსი | 1.90 | 1.70 |
| 12114 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.90 | 1.70 |
| 12115 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 12132 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12134 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1.90 | 1.70 |
| 12136 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.00 | 1.60 |
| 12137 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 12138 | არმინია-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12140 | კოტბუსი -მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 12141 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12142 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.70 |
| 12143 | ჰერტა-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12207 | ასკოლი-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12208 | კატანია-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 12209 | ემპოლი-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12210 | ინტერი-სამპდორია | 2.00 | 1.60 |
| 12212 | ლაციო-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 12213 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12214 | პარმა-მილანი | 1.90 | 1.70 |
| 12216 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12217 | სიენა-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12219 | უდინეზე-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 12250 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12251 | ესპანიოლი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12252 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12253 | ოსასუნა-ტარაგონა | 1.70 | 1.90 |
| 12254 | რეალი-სოსიედადი | 2.00 | 1.60 |
| 12256 | უელვა-ლევანტე | 1.70 | 1.90 |
| 12257 | სევილია-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12259 | ვალენსია-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12260 | სარაგოსა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12261 | რასინგი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 12274 | სედანი-ლე მანი | 1.60 | 2.00 |
| 12275 | სოშო-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 12276 | ტრუა-ნიცა | 1.60 | 2.00 |
| 12277 | ვალენსიენი-ნანტი | 1.60 | 2.00 |
| 12278 | ლილი-ტულუზა | 1.60 | 2.00 |
| 12280 | ლორიანი-ლიონი | 1.70 | 1.85 |
| 12282 | ნანსი-რენი | 1.60 | 2.00 |
| 12283 | სტ.ეტიენი-ოსერი | 1.60 | 2.00 |
| 12284 | მონაკო-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 12285 | მარსელი-ბორდო | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ევერტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | შეფილდი-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | უოტფორდი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ბლეკბერნი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მანჩესტერი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13108 | სელტიკი-დანფერმლაინი | 2.00 | 1.60 |
| 13110 | ფოლკირკი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13111 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 13112 | მაზერველი-ჰართსი | 1.90 | 1.70 |
| 13114 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 13115 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 13132 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.60 | 2.00 |
| 13134 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1.60 | 2.00 |
| 13136 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13137 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13138 | არმინია-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13140 | კოტბუსი -მაინცი | 1.60 | 2.00 |
| 13141 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13142 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13143 | ჰერტა-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13207 | ასკოლი-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13208 | კატანია-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13209 | ემპოლი-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13210 | ინტერი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13212 | ლაციო-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13213 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13214 | პარმა-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13216 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13217 | სიენა-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13219 | უდინეზე-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13250 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13251 | ესპანიოლი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13252 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13253 | ოსასუნა-ტარაგონა | 1.70 | 1.90 |
| 13254 | რეალი-სოსიედადი | 1.90 | 1.70 |
| 13256 | უელვა-ლევანტე | 1.70 | 1.90 |
| 13257 | სევილია-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13259 | ვალენსია-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13260 | სარაგოსა-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13261 | რასინგი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 13274 | სედანი-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13275 | სოშო-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13276 | ტრუა-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13277 | ვალენსიენი-ნანტი | 1.90 | 1.70 |
| 13278 | ლილი-ტულუზა | 1.90 | 1.70 |
| 13280 | ლორიანი-ლიონი | 1.90 | 1.70 |
| 13282 | ნანსი-რენი | 1.90 | 1.70 |
| 13283 | სტ.ეტიენი-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 13284 | მონაკო-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13285 | მარსელი-ბორდო | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1.80 | 1.90 |
| 14003 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.70 | 2.20 |
| 14004 | ევერტონი-უიგანი | 1.45 | 2.40 |
| 14005 | შეფილდი-რედინგი | 1.80 | 1.90 |
| 14006 | უოტფორდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.80 |
| 14007 | ჩელსი-ლივერპული | 1.45 | 2.40 |
| 14008 | ბლეკბერნი-სიტი | 1.70 | 2.20 |
| 14009 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.70 | 2.10 |
| 14010 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.30 | 2.50 |
| 14011 | მანჩესტერი-არსენალი | 1.60 | 2.20 |
| 14110 | ფოლკირკი-აბერდინი | 2.00 | 1.80 |
| 14111 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 2.20 |
| 14112 | მაზერველი-ჰართსი | 2.50 | 1.30 |
| 14114 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.80 | 1.90 |
| 14115 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 2.40 | 1.40 |
| 14132 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.60 | 2.30 |
| 14134 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1.30 | 2.50 |
| 14136 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.30 | 2.50 |
| 14137 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 1.80 | 1.90 |
| 14138 | არმინია-ბაიერნი | 2.50 | 1.30 |
| 14140 | კოტბუსი -მაინცი | 1.70 | 2.10 |
| 14141 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14142 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.80 |
| 14143 | ჰერტა-შალკე | 1.90 | 1.90 |
| 14207 | ასკოლი-მესინა | 1.80 | 1.90 |
| 14208 | კატანია-ატალანტა | 1.80 | 1.90 |
| 14209 | ემპოლი-კიევო | 1.70 | 2.10 |
| 14210 | ინტერი-სამპდორია | 1.06 | 2.90 |
| 14212 | ლაციო-პალერმო | 1.70 | 2.20 |
| 14213 | ლივორნო-ფიორენტინა | 2.10 | 1.75 |
| 14214 | პარმა-მილანი | 2.50 | 1.30 |
| 14216 | რეჯინა-კალიარი | 1.80 | 2.00 |
| 14217 | სიენა-რომა | 2.90 | 1.60 |
| 14219 | უდინეზე-ტორინო | 1.70 | 2.10 |
| 14250 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.90 | 1.90 |
| 14251 | ესპანიოლი-სელტა | 1.80 | 1.90 |
| 14252 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.70 | 2.10 |
| 14253 | ოსასუნა-ტარაგონა | 1.40 | 2.40 |
| 14254 | რეალი-სოსიედადი | 1.05 | 2.90 |
| 14256 | უელვა-ლევანტე | 1.65 | 2.20 |
| 14257 | სევილია-ბეტისი | 1.40 | 2.40 |
| 14259 | ვალენსია-ხეტაფე | 1.30 | 2.50 |
| 14260 | სარაგოსა-მალიორკა | 1.40 | 2.40 |
| 14261 | რასინგი-ბარსელონა | 2.60 | 1.20 |
| 14274 | სედანი-ლე მანი | 1.80 | 2.00 |
| 14275 | სოშო-ლანსი | 1.80 | 2.00 |
| 14276 | ტრუა-ნიცა | 1.75 | 2.10 |
| 14277 | ვალენსიენი-ნანტი | 1.75 | 2.10 |
| 14278 | ლილი-ტულუზა | 1.30 | 2.50 |
| 14280 | ლორიანი-ლიონი | 2.50 | 1.30 |
| 14282 | ნანსი-რენი | 1.70 | 2.20 |
| 14283 | სტ.ეტიენი-ოსერი | 1.70 | 2.20 |
| 14284 | მონაკო-პსჟ | 1.80 | 2.00 |
| 14285 | მარსელი-ბორდო | 1.65 | 2.20 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ბოლტონი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ევერტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | შეფილდი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | უოტფორდი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ბლეკბერნი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ტოტენჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მანჩესტერი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | სელტიკი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | ფოლკირკი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15112 | მაზერველი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15114 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15115 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15132 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | ვერდერი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15138 | არმინია-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | კოტბუსი -მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ჰერტა-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | ასკოლი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | კატანია-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | ემპოლი-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | ინტერი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ლაციო-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ლივორნო-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | პარმა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | რეჯინა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | სიენა-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | უდინეზე-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | ბილბაო-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15251 | ესპანიოლი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15252 | დეპორტივო-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15253 | ოსასუნა-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15254 | რეალი-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15256 | უელვა-ლევანტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15257 | სევილია-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15259 | ვალენსია-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15260 | სარაგოსა-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15261 | რასინგი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15274 | სედანი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | სოშო-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | ტრუა-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15277 | ვალენსიენი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | ლილი-ტულუზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | ლორიანი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | ნანსი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | სტ.ეტიენი-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15284 | მონაკო-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15285 | მარსელი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1.65 | 1.90 |
| 16003 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.45 | 2.20 |
| 16004 | ევერტონი-უიგანი | 1.25 | 3.00 |
| 16005 | შეფილდი-რედინგი | 1.60 | 1.90 |
| 16006 | უოტფორდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.65 |
| 16007 | ჩელსი-ლივერპული | 1.30 | 2.80 |
| 16008 | ბლეკბერნი-სიტი | 1.44 | 2.30 |
| 16009 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.50 | 2.15 |
| 16010 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.22 | 3.10 |
| 16011 | მანჩესტერი-არსენალი | 1.35 | 2.40 |
| 16110 | ფოლკირკი-აბერდინი | 1.90 | 1.60 |
| 16111 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.45 | 2.25 |
| 16112 | მაზერველი-ჰართსი | 3.00 | 1.25 |
| 16114 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.60 | 1.90 |
| 16115 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 3.00 | 1.25 |
| 16132 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.40 | 2.40 |
| 16134 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1.25 | 3.00 |
| 16136 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.20 | 3.40 |
| 16137 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.80 |
| 16138 | არმინია-ბაიერნი | 3.00 | 1.22 |
| 16140 | კოტბუსი -მაინცი | 1.60 | 2.00 |
| 16141 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |
| 16142 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.65 |
| 16143 | ჰერტა-შალკე | 1.70 | 1.85 |
| 16207 | ასკოლი-მესინა | 1.55 | 2.10 |
| 16208 | კატანია-ატალანტა | 1.55 | 2.10 |
| 16209 | ემპოლი-კიევო | 1.50 | 2.20 |
| 16210 | ინტერი-სამპდორია | 1.03 | 6.50 |
| 16212 | ლაციო-პალერმო | 1.50 | 2.10 |
| 16213 | ლივორნო-ფიორენტინა | 2.00 | 1.60 |
| 16214 | პარმა-მილანი | 3.40 | 1.20 |
| 16216 | რეჯინა-კალიარი | 1.60 | 1.90 |
| 16217 | სიენა-რომა | 2.40 | 1.40 |
| 16219 | უდინეზე-ტორინო | 1.40 | 2.35 |
| 16250 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.80 | 1.75 |
| 16251 | ესპანიოლი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 16252 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.55 | 2.10 |
| 16253 | ოსასუნა-ტარაგონა | 1.25 | 3.00 |
| 16254 | რეალი-სოსიედადი | 1.03 | 6.50 |
| 16256 | უელვა-ლევანტე | 1.40 | 2.40 |
| 16257 | სევილია-ბეტისი | 1.30 | 2.85 |
| 16259 | ვალენსია-ხეტაფე | 1.20 | 3.40 |
| 16260 | სარაგოსა-მალიორკა | 1.25 | 3.00 |
| 16261 | რასინგი-ბარსელონა | 4.00 | 1.15 |
| 16274 | სედანი-ლე მანი | 1.55 | 2.00 |
| 16275 | სოშო-ლანსი | 1.55 | 2.10 |
| 16276 | ტრუა-ნიცა | 1.55 | 2.10 |
| 16277 | ვალენსიენი-ნანტი | 1.55 | 2.10 |
| 16278 | ლილი-ტულუზა | 1.20 | 3.20 |
| 16280 | ლორიანი-ლიონი | 3.10 | 1.25 |
| 16282 | ნანსი-რენი | 1.45 | 2.20 |
| 16283 | სტ.ეტიენი-ოსერი | 1.40 | 2.40 |
| 16284 | მონაკო-პსჟ | 1.55 | 2.10 |
| 16285 | მარსელი-ბორდო | 1.35 | 2.50 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ევერტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | შეფილდი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | უოტფორდი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ბლეკბერნი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მანჩესტერი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17110 | ფოლკირკი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | მაზერველი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17114 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17115 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17132 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17137 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17138 | არმინია-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | კოტბუსი -მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17141 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17142 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ჰერტა-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ასკოლი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17208 | კატანია-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ემპოლი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ინტერი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ლაციო-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17214 | პარმა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | რეჯინა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | სიენა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17219 | უდინეზე-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17250 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17251 | ესპანიოლი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17252 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17253 | ოსასუნა-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17254 | რეალი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17256 | უელვა-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17257 | სევილია-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17259 | ვალენსია-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17260 | სარაგოსა-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17261 | რასინგი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17274 | სედანი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17275 | სოშო-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17276 | ტრუა-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17277 | ვალენსიენი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | ლილი-ტულუზა | 1.85 | 1.95 |
| 17280 | ლორიანი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17282 | ნანსი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17283 | სტ.ეტიენი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17284 | მონაკო-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17285 | მარსელი-ბორდო | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებურად ჩავარჩენებულოდ

## ნაკრებს ნოზაძე და პოლოსიანი დაუბრუნდნენ

**ქართველი მოჭიდავეები სეზონის უმთავრესი ტურნირისთვის სამზადისს ასრულებენ. ხვალ-ზეგ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის ნაკრებები ჩინეთში გაფრინდებიან. 25-29 სექტემბერს კი ქალაქ გუანჯოუში მსოფლიოს ჩემპიონატზე გავლენ. ბეგი დარჩიას და ზაზა თურმანიძის შეგირდებმა დასკვნითი შეკრებები ბორჯომში გაიარეს და მწვრთნელებმა საბოლოო შვიდეულები იქვე დაასახელეს. გუშინ კი სასტუმრო „ოლიმპის" დარბაზში დილით და საღამოს საკონტროლო შეხვედრები ჩატარდა. მსოფლიოზე წამსვლელებმა ყველა შიდაკონკურენტთან მოსინჯეს ძალა**



ლუკა კურტანიძე და გიორგი გოგშელიძე

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, საკონტროლო შეხვედრებს ჟურნალისტთა მოზრდილი რაზმი დაესწრო, ნაშუადღევს კი საგანგებო პრესკონფერენციაც მოეწყო, რომელზეც მასმედიისთვის ჩინოსან-მწვრთნელ-მოჭიდავეთა გარდა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმაც შეაფასა წინასაჩემპიონატო სამზადისი.

დილის სპარინგ-შეხვედრების პარალელურად, დარჩია-თურმანიძისგან, პირველ რიგში, შემადგენლობები დავაზუსტეთ.

„ჩინეთში საქართველოს დროშით ირაკლი ჭოჭუა (55 კგ), დავით ბედინაძე (60 კგ), ლაშა ლომაძე (66 კგ), მანუჩარ კვირკველია (74 კგ), ბადრი ხასაია (84 კგ), რამაზ ნოზაძე (96 კგ) და გიორგი ჭელიძე (+120 კგ) იჭიდავებენ — გვითხრა ბერძენ-რომაელების თავკაცმა — როგორც ხედავთ, ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ გუნდს ორი გამოცდილი წევრი უბრუნდება. ხასაია და ნოზაძე სრული დატვირთვით ემზადებიან და იმედია, შედეგებსაც აჩვენებენ. თუ უმნიშვნელო ტრავმებს არ ჩავთვლით, პრობლემა არც დანარჩენ ხუთეულს აქვს. ბოლოს და ბოლოს ოპტიმალური შემადგენლობა შევკრიბეთ. დანარჩენი კი ჩინეთში გამოჩნდება."

ნასპარინგევს მოჭიდავეებსაც გამოველაპარაკეთ და აბსოლუტურად ყველასგან ერთი და იმავე შინაარსის კომენტარები მოვისმინეთ. ნაკრებში საბრძოლო განწყობაა, ბიჭებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი, რომ მხოლოდ ვარჯიშზე იფიქრონ, ჩინეთში საბრძოლველად მიდიან და ხალიჩაზე ბოლომდე დაიხარჯებიან.

კლასიკოსებისგან დარბაზს ყველაზე მეტხანს ნოზაძე შერჩა. ცოტა ინდივიდუალურად წაივარჯიშა, მერე კი ინტერვიუების დარიგება დაიწყო.

— დაახლოებით ორი წელიწადია, დიდ ტურნირზე არ მიჭიდავია და სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რამხელა პასუხისმგებლობას ვგრძნობ. როგორც იქნა, ხანგრძლივი ტრავმიანობა დასრულდა. ღმერთის წყალობით, უკვე ყველაფერი რიგზეა და აგერ მესამე შეკრებაა, სრული დატვირთვით ვემზადები.

— როგორ აფასებ, მედლისთვის ბრძოლას შეძლებ?

— მგონი, ნორმალურ ფორმაში ვარ, თუმცა ჩემს შესაძლებლობებზე აჯობებს მწვრთნელებმა ისაუბრონ. შევეცდები, სათქმელი ხალიჩაზე ვთქვა. არ ვამბობ, რომ აუცილებლად კვარცხლბეკზე ავალ. უბრალოდ, გპირდებით, გულით ვიჭიდავებ.

— 96 კილოგრამის მთავარი ფავორიტები ვინ იქნებიან?

— ამაზე საუბარი ძალიან ძნელია. ახალმა წესებმა ჭიდაობა ისე გაათანაბრა, შეიძლება, გამოუცდელმა თავისზე ბევრად ძლიერი დაამარცხოს. მოკლედ, ყველაფერი ჩინეთში გამოჩნდება.

შეგირდების მზადყოფნით თავისუფლების თავკაციც კმაყოფილია. ზაზა თურმანიძის თქმით, ამ ეტაპზე შვიდივე მოჭიდავე ოპტიმალურ ფორმასთან ახლოსაა. პიკს კი მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში უნდა მიაღწიონ. ყველაზე მეტად მწვრთნელს გიორგი გოგშელიძის კისრის ტკივილი აფიქრებს. ქრონიკულ ტრავმას ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი იმედისთვის თავი ბოლო შეკრებებისასაც შეუხსენებია, ოღონდ არა ისე, რომ სავარჯიშო პროცესში ხელი შეეშალა. იმედია, ეს პრობლემა ჩინეთში არ წამოტივტივდებაო — დასძინა თურმანიძემ. აქვე მისი რჩეული შვიდეულიც: ბესიკ გუჩაშვილი (55 კგ), დავით პოლოსიანი (60 კგ), ოთარ თუშიშვილი (66 კგ), გელა სალირაშვილი (74 კგ), რევაზ მინდორაშვილი (84 კგ), გიორგი გოგშელიძე (96 კგ), ლუკა კურტანიძე (+120 კგ).

ყველაზე მოულოდნელი შემადგენლობაში პოლოსიანის დაბრუნებაა. წლების წინანდელი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ბოლოს დიდ ტურნირზე 2004 წელს იჭიდავა და მას შემდეგ ქრონიკულმა ტრავმიანობამ გააწამა. ერთხანს ხმებიც გავრცელდა, თითქოს კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ...

„ბოლო წლებში უიღბლობამ გამტანჯა — გვითხრა პოლოსიანმა — მოსამზადებელ ციკლს გავივლიდი, დიდი ტურნირისთვის მოვემზადებოდი და ბოლო მომენტში ტრავმას ვიღებდი. გამონაკლისი მხოლოდ ეს შესარჩევი ეტაპი აღმოჩნდა და ახალი იმედიც გაჩნდა. ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, მოგეხსენებათ, საჭიდაო წესებში დიდი ცვლილებებია. მინდოდა, ამ ახალი წესებით ჭიდაობის შანსი მომცემოდა და სწორედ ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც აქტიურ სპორტში დავრჩი. საყოველთაო აღიარებით ახალი წესები უსამართლოა. ამ აზრს მეც ვეთანხმები, მაგრამ აქვე დავძენ, რომ ტაქტიკა უფრო მეტად ფასობს. აქედან გამომდინარე, ალბათ გამოცდილ მოჭიდავეებს მეტი შანსი გვექნება."

შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე თურმანიძის გუნდმა სამი მედალი მოიპოვა. ჩემპიონი მინდორაშვილი, ვიცე-ჩემპიონი კურტანიძე და ბრინჯაოსანი თუშიშვილი ახლაც გუნდში არიან და როგორც თავად განაცხადეს, ის წარმატება უკვე წარსულს ჩააბარეს, ჩინეთში ზედმეტ ტვირთად რომ არ დააწვეთ.

სპარინგ-შეხვედრებს შორის ჩატარებულ პრესკონფერენციაზეც ვთქვათ. ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჩინეთში წამსვლელებს შინ ოქროს მედლებით დაბრუნება უსურვეს და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი დახმარება აღუქვეს.

ბოლოს ერთი სასიამოვნო ინფორმაციაც: ხუთდღიანი მსოფლიოს ჩემპიონატის ყურება ქართველ გულშემატკივრებსაც შეეძლებათ. საზოგადოებრივი არხი ყველა წონის დასკვნით შეხვედრებს პირდაპირი ეთერით გადასცემს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

მძლეოსნობა

# ის ურჩევნია მამასა

## გიორგი ბედოშვილი გიორგი ბედოშვილის გზაზე



**ყოფილმა** ბირთვისმკვრელმა გიორგი ბედოშვილმა თავისი შვილი, ასევე გიორგი ბედოშვილი ისე გაწვრთნა, რომ სოჭში კავკასიის თასის გათამაშებაში გამარჯვება შეჯიბრების მეორე დღესაც მოაპოვებინა. უმცროსმა გიორგიმ პირველ დღეს რომ ბირთვი ყველაზე შორს ჰკრა, მეორე დღეს ბადროც ასევე უშორესად, 52 მეტრზე გასტყორცნა.

შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაში რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და ისრაელის 1989 წელსა და შემდგომ დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ.

შეჯიბრების მეორე დღეს გიორგი ბედოშვილს სხვა თანაგუნდელებმა გამარჯვებებით მხარი ვეღარ აუბეს, თუმც მათი მედლების ყულაბაში კიდევ ოთხი ვერცხლის ჯილდო ჩაჩხრიალდა. ამ დღეს ყვარლელი მერაბ ქინიძე 1 500 მეტრზე გამარჯვების მერე 800 მეტრზე რბენაში მეორე იყო. თბილისელმა ლიკა დვალიშვილმა სოჭში ვერცხლის მედლის მოპოვებით ძალიან გაახარა თავისი სახელგანთქმული ბებია, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოსანი და მრავალგზის მსოფლიოს რეკორდსმენი ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი. ბებია თუ ამ წარმატებებს 100 და 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში აღწევდა, შვილიშვილი ოლიმპოსკენ გზას სიმაღლეზე ხტომაში მიუყვება (150სმ).

ვერცხლის მედლებით გაიხარეს თიანეთელმა სოფო რიგიშვილმა და თბილისელებმა გიორგი ანთელიძემაც. პირველმა წარმატებას ბადროს ტყორცნაში (37,5 მ) მიაღწია, მეორემ კი 110 მეტრზე თარჯრბენში (15,0).

საბოლოოდ ჩვენმა მძლეოსნებმა სოჭში ოთხი ოქროს და ექვსი ვერცხლის მედალი მოიპოვეს, საერთო გუნდურ პირველობაში კი რუსეთის მერე მეორე ადგილზე გავიდნენ.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იწყებს ჟურნალისტთა განაცხადების მიღებას ზაფხულის XXXIX ოლიმპიურ თამაშებზე (პეკინი, 2008) აკრედიტაციის გასაფორმებლად.

საქართველოსთვის გამოყოფილი კვოტა შეზღუდულია. აკრედიტაციის მსურველი ჟურნალისტების თხოვნების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს სეოკ-ი უპირატესობას მიანიჭებს იმ სპორტულ ჟურნალისტებს, რომლებიც არიან სპორტულ ჟურნალისტთა საქართველოსა და მსოფლიო ასოციაციის (AIPS) წევრები, კარგად ფლობენ ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური ან ფრანგული) შეუძლიათ კომუნიკაციის ტექნიკურ საშუალებებთან თავისუფალი მუშაობა.

პეკინში აკრედიტებული ჟურნალისტების მონაწილეობა სეოკ-ის მიერ თამაშების შედეგების შემაჯამებელ სპეციალურ გამოცემაში წინასწარი შეთანხმებით სპორტის სახეობათა მიხედვით მასალის წარდგინების სახით სავალდებულოა.

ჟურნალისტის პეკინში მივლინების ხარჯვებს (გზა, საცხოვრებელი, კვება, საკომუნიკაციო ხარჯები და სხვ). ფარავს თავად ჟურნალისტი ან მისი მიმავლინებელი ორგანიზაცია.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 29 დეკემბერი.

მისამართზე: დ. ალმაშენებლის №65; ტელ: 94-30-91; 877 40 50 30

საკონტაქტო პირი კახა ბერიძე
სეკო-ის პრეს-სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორჯომის თასი. ჰარდი. საპრიზო 10 000 $



მანანა შაფაქიძე ლიუდმილა ნიქოიანთან ვერაფერს გახდა

# იან ჰომერზე ქილერი გამოჩნდა

## ლიუდმილას მანანა სხვებში შეეშალა

### მეორე წრე

**ლიუდმილა ნიქოიანი** (სომხეთი) — მანანა შაფაქიძე (1, საქართველო) 6:7 (7:2) 6:2; **ელიზავეტა ტოჩილოვსკაია** (რუსეთი) — მარიამ ქურდაძე (საქართველო) 6:2 6:2; **კრისტინა გრიგორიანი** (3, რუსეთი) — ფარიდა კარაიევა (უკრაინა) 6:4 6:4; **ეკა გორგოძე** (საქართველო) — იულია კალაბინა (6, რუსეთი) 6:4 7:6 (7:2); **ამინა რახიმი** (8, ყაზახეთი) — ანა მოვსესიანი (სომხეთი) 6:0 6:0; **იულია სოლონიცკაია** (4, რუსეთი) — თეონა ცერცვაძე (საქართველო) 6:1 6:3; **სალომე ჩაჩხუნაშვილი** (საქართველო) — ელინა ჰასანოვა (7, აზერბაიჯანი) 3:6 6:1 6:0; **ვარვარა გალანინა** (2, რუსეთი) — ვიქტორია სემიროდენკო (უკრაინა) 6:4 6:4

**ძირითადი** ბადის ერთ-ერთი ყველაზე დაბალრეიტინგიანი ჩოგბურთელი ლიუდმილა ნიქოიანი „ბორჯომის თასს“ „ჯაიანთ ქილერად“ მოევლინა. საკვალიფიკაციო ეტაპიდან ამოსულმა სომეხმა გოგონამ ჯერ იყო და პირველ წრეში სოფიკო შარანგია დაგვიმარცხა, გუშინ კი მერვედფინალურ შეხლაში პირველ ნომრად განთესილი მანანა შაფაქიძეც იმსხვერპლა.

ნიქოიანი თბილისურ ტურნირებს გდაჩვეული მეჩოგნეა და მერე რა, რომ მსოფლიოს რეიტინგსიაში შორეულ 1318-ე ადგილზეა — 692-ე შაფაქიძე მაინც იოლად დაამარცხა. ცენტრალურ კორტზე გამართული ამ ორთაბრძოლის მხოლოდ პირველი სეტი გამოდგა დაძაბული. მარჯვედ მობურთალმა ნიქოიანმა მცირე სადებიუტო ჩამორჩენა იოლად აღმოფხვრა და პირველი სეტის ბედი სატაიბრეიკო სასწორზე შეაგდო, სადაც „ბორჯომის თასის“ მთავარმეჩოგნეს ხელი წარბშეუხრელად მოუთავა. შაფაქიძემ მხოლოდ 2 სატაიბრეიკო ქულის მითვლა მოახერხა და სასეტო ანგარიშში 0:1 ჩამორჩა.

„იან ჰომერის“ მთავარ კორტზე შეკრებილი გულშემატკივარი აქტიურად ამხნევებდა მანანას, მაგრამ მას ნერვიულობა დაეტყო და იმდენი ბავშვური შეცდომა დაუშვა, რომ მეორე სეტი და მასთან ერთად მატჩიც უბრძოლველად დათმო.

ცენტრალურ კორტზე გამართული მეორე მატჩი კი გუშინ ყველაზე დაძაბული გამოდგა. 14 წლის გოგონა ეკა გორგოძემ ტურნირის მე-6 ნომერი, რუსი იულია კალაბინა ფიცხელ ბრძოლაში დაამარცხა.

გორგოძე თავიდან კი ჩამორჩა, მაგრამ დიდი შეუპოვრობისა და ჯიგრაინი ბურთაობის ხარჯზე რუსი მეჩოგნე 6:4 დამარცხა. მეორე სეტი კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ეკამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და კალაბინა 7:2 დაამარცხა.

გორგოძე მეოთხედფინალში „ბორჯომის თასზე“ მესამე ნომრად განთესილ არმენოსლავ კრისტინა გრიგორიანს შეებრძოლება, რომელიც რუსეთის სახელით გამოდის. გრიგორიანმა გუშინ სოფო შაფათავას მძლეველი ფარიდა კარაიევა დაალონა — 6:4 6:4.

გორგოძესთან ერთად მეოთხედფინალში ერთი ქართველიც გავიდა — სალომე ჩაჩხუნაშვილი, რომელმაც აზერბაიჯანელ ელინა ჰასანოვას ძალიან იოლად შემოუტრიალა თამაში. სალომემ საწყისი სეტი 3:6 დათმო და, ალბათ, ალარავის ეგონა, საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული ქართველი მე-7 ნომრად განთესილ აზერს თუ მოუგებდა. მაგრამ ჩაჩხუნაშვილმა მეორე სეტში 6:1 იძალა და მესამე გადამწყვეტში ხომ საერთოდ 6:0 შეარცხვინა ჰასანოვა.

ორი ხომ გავიდა, და მერვედფინალურ კორტებზეც ორი ქართველი „დაეცა“ — თეონა ცერცვაძემ მე-4 ნომრად განთესილ რუს იულია სოლონიცკაისთან ვერაფერი გააწყო, ისევე როგორც მარიამ ქურდაძემ ასევე რუს ელიზავეტა ტოჩილოვსკაიასთან. ცერცვაძემ ორი სეტის ჯამში მხოლოდ 3 გეიმი წაართვა სოლონიცკაიას, ქურდაძემ კი ტოჩილოვსკაიას მთლიანობაში 6 გეიმი მოჰპარა.

გუშინდელი დღის ყველაზე უინტერესო ყაზახ-სომხური დაპირისპირება გამოდგა. ტურნირის მე-8 მეჩოგნე ამინა რახიმმა გეიმის დაუთმობლად დაძლია ანა მოვსესიანის წინააღმდეგობა და მეოთხედფინალში ცერცვაძის დამმარცხებელ იულია სოლონიცკაიას შეეჩოგნება.

დაბოლოს, მერვედფინალის მერვე დაპირისპირებაზეც ვთქვათ, რომელიც რუსული გამოდგა — ვიქტორია სემიროდენკო ტატიანა გალანინას წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი „ბორჯომის თასზე“ მეორე ნომრადაა განთესილი და რეიტინგსიის ათასეულს მიღმა მყოფ თანამემამულეს სამეოთხედფინალო საგზური აულელვებლად წაართვა — 6:4 6:4.

**ირაკლი პერტაია**

# ტაქტიაობა რეპუტაციაზე

| |
|---|
| **კაცები** |
| ბუქარესტი. რუმინეთი |
| თიხნარი. საპრიზო 302 000 € |

### მეორე წრე

**პოლ-ანრი მატიო** (8, საფრანგეთი) — ვიქტორ კრივოი (რუმინეთი) 6:1 6:1; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ჟილ სიმონი (4, საფრანგეთი) 3:6 6:3 6:4; **რუბინ რამირეს-იდალგო** (6, ესპანეთი) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 3:6 6:3 6:1; **ფილიპო ვოლანდრი** (5, იტალია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 3:6 6:2 6:2; **კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4 7:6; **ფლორიან მაიერი** (7, გერმანია) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:4 6:1; **ფლორენ სერა** (2, საფრანგეთი) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:4 6:1

| |
|---|
| **კაცები** |
| პეკინი. ჩინეთი. ჰარდი |
| საპრიზო 475 000 $ |

### მეორე წრე

**ივან ლიუბიჩიჩი** (1, ხორვატია) — კევინ კიმი (აშშ) 6:3 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (8, სამხ. კორეა) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 4:6 7:6 7:6; **მარიო ანჩიჩი** (4, ხორვატია) — შტეფანო გალვანი (იტალია) 6:3 7:5; **დომინიკ ჰრბატი** (5, სლოვაკეთი) — ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:1 2:6 6:0; **დანაი უდომჩოკე** (ტაილანდი) — ივო კარლოვიჩი (7, ხორვატია) *(უარი)*; **მარკოს ბაღდატისი** (3, კვიპროსი) — იუ ვანგი (ჩინეთი) 7:6 6:4; **პარადორნ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — სატოში ივაბუჩი (იაპონია) 6:3 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო** (2, რუსეთი) — ლუკა გრეგორკი (სლოვაკეთი) 7:6 6:2

| |
|---|
| **ქალები** |
| ბალი. ინდონეზია. ჰარდი |
| საპრიზო 225 000 $ |

### მეორე წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა** (1, რუსეთი) — ერიკა ტაკაო (იაპონია) 6:1 6:2; **სევერინ ბრემონდი** (8, საფრანგეთი) — სენდი გუმულია (ინდონეზია) 6:3 7:6; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — აკიკო მორიგამი (აშშ) 6:2 6:3; **ჰანა შრომოვა** (ჩეხეთი) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:3 7:5; **მარიონ ბარტოლი** (6, საფრანგეთი) — კეისი დელაკუა (ავსტრალია) 6:1 6:3; **ოლგა პოუტჩკოვა** (რუსეთი) — ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) 7:5 6:3; **მელინდა ცინკი** (უნგრეთი) — ანჟელიკ ვიდიაია (ინდონეზია) 7:6 6:1; **პატი შნიდერი** (2, შვეიცარია) — ელიზა ტამაელა (ჰოლანდია) 6:4 6:1



ივან ლიუბიჩიჩი

**ჩოგბურთელებმა** სლემტურნირები მოილიეს და ახლა უფრო ზომიერ რეალობას უბრუნდებიან. ბოლოლა ტურნირები თითზე ჩამოსათვლელიღა თუ იქნება და ჩოგნის მქნეველთა უმთავრესი საზრუნავი წლის უკანასკნელ, შემაჯამებელ შეჯიბრზე მოხვედრა იქნება. მათ კი, რომლებსაც იქ ადგილი უკვე გარანტირებული აქვთ, ცოტა ხნით ისვენებენ და ამიტომაც ტოპმეჩოგნეთა უმრავლესობას ორიოდე კვირა კორტზე ვერც ვიხილავთ.

სამაგიეროდ, ზოგიერთს შერყეული პოზიციებისა თუ რეპუტაციის აღდგენა განუზრახავს და დასვენებას კვლავაც კორტზე თავდაუზოგავი სირბილი ურჩევნია.

ასეთები საკმაოდ აღმოჩნდნენ და საკუთარი რენომეს აღსადგენად დედამიწის ერთი ბოლოდან მეორეში გამგზავრებაც კი არ დაიზარეს — საუბარი პეკინზე გვაქვს, სადაც ნიუ იორკიდან ნაადრევად წამოსულმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და ახლა ერთმანეთს აზიურ ჰარდზე ერკინებიან.

პირველ ყოვლისა ახლადჩამთავრებული აშშ-ს ღია პირველობის უმთავრეს იმედგაცრუებაზე, ივან ლიუბიჩიჩზე შევჩერდეთ. ხორვატი ნიუ იორკში დიდი ამბიციებით კი ჩავიდა, მაგრამ ფელისიანო ლოპესმა პირველი წრეშივე ჩაალაგებინა ჩემოდნები. ჰოდა, გაბრაზებულმა ბალკანელმაც პეკინში შმაგად დაიწყო და პირველი წრეები იოლადაც დაძლია. გუშინ კი ლიუბიჩიჩი კევინ კიმს ტრადიციულად თავისი ზემძლავრი მოწოდების წყალობით გაუსწორდა. ხორვატმა 15 ეისი ჩააყუმბარა და ორჯერ ბრეიკი გააკეთა, რაც კორეელ-ამერიკელის დასამარცხებლად საკმარისი გამოდგა.

ლიუბიჩიჩს წინ კიდევ ერთი კორეელი, ოღონდ უკვე თავისი ქვეყნის დროშით მოამაყე ჰიუნგ-ტაიკ ლი ელის და წესით, მასაც უნდა გაუსწორდეს, რითაც ნახევარფინალში გასვლასაც გაინაღდებს.

მოიგო ლიუბიჩიჩის ახალგაზრდულმა „ვერსიამ“ მარიო ანჩიჩმაც მხოლოდ ორ სეტი დასჭირდა მეოთხედფინალში გასასვლელად. თუმც ხორვატებმა ერთი დანაკლისი მაინც იწვნიეს — ორმეტრიანმა ივო კარლოვიჩმა კორტზე გასვლაც კი ვერ შეძლო ტრავმის გამო და ტაილანდელი უდომჩოკეც ასე უბრძოლველად გაატარა წინ.

წინ მიიწევს ნიუ იორკში ლიუბიჩიჩზე არანაკლებ მძიმედ დაკოდილი მარკოს ბაღდატისიც. კვიპროსელს ვერაფრით მოუნელებია ანდრე აგასისთან მარცხი და ლამის ყოველ მეორე ინტერვიუში ამბობს, არ უნდა წამეგოო. გუშინ კი კუნძულელი ადგილობრივთა ყიჟინით გახელებულ ვანგს გაუსწორდა, თუმც ცოტა აქაც ინერვიულა.

კაც ჩოგბურთელთა მეორე ნაწილმა კი თავი ბუქარესტში მოიყარა, მაგრამ აქ ისინი ჩამოვიდნენ, გრუნტზე თამაშს რომ ვერ ელევიან, ანაც უკვე მოენატრათ.

ჯერჯერობით წინ მიიწევს შარშანდელი გამარჯვებული ფლორენ სერა, რომელმაც არგენტინელ არგუელოს გამოუყვანა წირვა და ახლა ფლორიან მაიერს შეერკინება.

თუმც რუმინეთში გუშინ სხვა რამ იყო საინტერესო — კარლოს მოიამ მე-500 კარიერული გამარჯვება მოიპოვა. ამ მაჩვენებლით ესპანელი ვეტერანი მეოთხეა ყველა დროის ჩოგბურთელთა შორის და მხოლოდ ანდრე აგასის (870 გამარჯვება), ჯონ მაკინროისა (864 გამარჯვება) და ტომას მუსტერს (622 გამარჯვება) ჩამორჩება. თუმც ამის მიუხედავად, მოია მაინც მილოცვების გარეშე დარჩა, რადგან საიუბილეო მოგება მასპინძელთა კერპ ანდრეი პაველთან მოიპოვა.



პატი შნიდერი

ქალთა ტურნირი ამ კვირაში ერთია და ისიც აზიაში, კერძოდ, ინდონეზიურ ბალიში. დიდი ვერაფერი შეჯიბრია საპრიზოების კუთხით, მაგრამ საკმაოდ საინტერესო შემადგენლობა მაინც შეიკრიბა.

დაუბრკოლებლად მიიწევს წინ საუკეთესო სამეული — სვეტლანა კუზნეცოვა, პატი შნიდერი და ლინდსი დევენპორტი. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, გამარჯვებულის ვინაობა მათ შორის უნდა გაირკვეს.

**კახა ლომაშვილი**

## კალათბურთი

გუშინწინ საქართველოს ნაკრები ჰელსინკში ფინეთს რომ სტუმრობდა, ჩვენს ჯგუფში ერთი მატჩი გაიმართა — რეიკიავიკში ისლანდიის ნაკრებმა აუტსაიდერი ლუქსემბურგი მიიღო და დამაჯერებლად დაამარცხა. საქართველოს ნაკრებმა წლეულს გასამართი ოთხივე მატჩი მოილია, დანარჩენი ოთხი გუნდისთვის კი ოფიციალური მატჩების სერია ხვალ დამთავრდება. ქართველთა ერთადერთი მძლეველი და მთავარი კონკურენტი ფინეთი ლუქსემბურგს სტუმრობს. თქმაც არ უნდა, იოლად დაამარცხებს და ჯგუფშიც გალიდერდება.

**13 სექტემბერი**

**ისლანდია 98:76 ლუქსემბურგი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 3 | 1 | 315:263 | 7 |
| ფინეთი | 3 | 3 | 0 | 271:217 | 6 |
| ისლანდია | 3 | 1 | 2 | 249:249 | 4 |
| ავსტრია | 3 | 1 | 2 | 177:217 | 4 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 3 | 182:248 | 3 |

**16 სექტემბერი**

**ავსტრია — ისლანდია**

**ლუქსემბურგი — ფინეთი**

# ილინოისში მოვკვდე, დავიმარხო

## კუკოჩი წასვლაზე ჩაფიქრდა



**რა აღარ** უნახავს ტონი კუკოჩს ნბა-ს მოედნებზე. ხორვატიული კალათბურთის ერთ-ერთ სასიქადულო შვილს სამი საჩემპიონო ბეჭედი მოუპოვებია „ჩიკაგო ბულსის" მაისურით. ჯორდანისეულ „ჩიკაგოში" თავისი სიტყვაც ეთქმოდა და პატივისცემაც არ აკლდა, მაგრამ დრომ თავისი მოიტანა, ანუ ჰანი წაიღო და ტონიც კარიერის დასრულებაზე ჩაფიქრებულა.

კუკოჩი ახლა აღარაა იმ ასაკში, სისხლი რომ უდუღთ. მალე 38 წლისა მოიყრება და ერთი-ორი მილიონი დოლარის სანაცვლოდ საკუთარ ოჯახ-კერიასთან განშორება არ უღირს. ჰოდა, პირდაპირ ამბობს, თუ „მილუოკში" ან „ჩიკაგოში" ადგილს ვერ ვიპოვი, თამაშს თავს ვანებებო.

კუკოჩი ოჯახთან ერთად ილინოსის შტატში ცხოვრობს და მისთვის ყველაზე მოსახერხებელი „ჩიკაგო" და იქვე, ვისკონსინური „მილუოკია", ეს გუნდები კი ინტერესს არ იჩენენ მხცოვანი ხორვატის მიმართ, თუმც, მისგან არაერთი სიკეთე კი ახსოვთ. „ბულზში" ხომ ოქროს წლები ჰქონდა კუკოჩს, ხოლო ბოლო ოთხ სეზონში კი „მილუოკის" ახმარდა თავის საკალათბურთო ცოდნა-გამოცდილებას. ახლა კი, როცა კონტრაქტი ამოეწურა, „ხარირმების" ხელმძღვანელობისგან ჩამიჩუმი არ ისმის ხელშეკრულების გახანგრძლივებასთან დაკავშირებით.

„ეტყობა, მე ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე „მილუოკიში" — ამბობს კუკოჩი — არადა, არაერთი გუნდია, რომელსაც ჩემი შემატება სურს, მაგრამ მე არ მინდა, ოჯახს მოვწყდე. თუ ახლო შტატებში ვერ ვიშოვი კლუბს, კარიერას დავასრულებ."

**ირაკლი პერტაია**

## ავტორბოლა

# ალონსო შუმახერს წელსქვემოთ ურტყამს




**გასულ უქმეებზე** მონცაში საპირველფორმულო იტალიური ეტაპის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონი ფერნანდო ალონსო აღშფოთებას ვერ მალავდა კვალიფიკაციაში მის მიმართ მიღებული სანქციის გამო.

შეგახსენებთ, საპოულე გაჯიბრებისას ტრასის მეორე მონაკვეთზე ფერარელი ფელიპე მასა 0,02 წამს უგებდა ლიდერ კიმი რაიკონენის გრაფიკს, მაგრამ ალონსოს „რენოს" უკან მყოფმა დასკვნით, მესამე უბანზე ბევრი — 0,23 დაკარგა. ბრაზილიელმა რბოლის ორგანიზატორებთან იჩივლა, ალონსომ გზა ჩახერგა და სწრაფი წრე გამიფუჭაო.

სტიუარდებმა ორივე პილოტი ახსნა-განმარტებისთვის გამოიძახეს, „ფერარის" მიერ წარმოდგენილი ტელემეტრიული მონაცემები გააანალიზეს და ფერნანდო დამნაშავედ სცნეს. შედეგად, მას სამი საუკეთესო ცდის დრო გაუუქმდა, რის გამოც ხუთი სასტარტო ადგილით ჩამოქვეითდა და რბოლის მეათე პოზიციიდან დაწყება მოუხდა.

ჩემპიონისა და მისი იტალიელი ბოსის ფლავიო ბრიატორეს რეაქცია მეტად მწვავე იყო.

ალონსო: „საქმე ის კი არ არის, რომ იტალიაში არ გამიმართლა და ბრძოლას გამოვეთიშე, მთავარია, რომ სტიუარდების დაუჯერებელი სასჯელით რბოლის ბედი უკვე სტარტამდე იყო გადაწყვეტილი. მეათე ადგილიდან დაწყებით ხომ გამარჯვების შანსი დავკარგე. საერთაშორისო ავტოფედერაცია მიხაელ შუმახერს ეხმარება. როგორ შეიძლება ეს ბლოკირებად ჩაითვალოს, როცა მანქანებს შორის ასი მეტრი იყო, რაც ვიდეო ჩანაწერებშიც ჩანს. დღეიდან მე ფორმულა ერთს სპორტად აღარ ვთვლი."

ბრიატორე: „ძალიან უცნაური ჩანს ის მოვლენები, რომლებიც რბოლას წინ უძღოდა. იმ მომენტში მივხვდი, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია... მათ შუმახერის გაჩემპიონება გადაწყვიტეს, ნახავთ, ასეც მოხდება. იმასთან შედარებით, რაც ფორმულის კულისებში ხდება, იტალიურ ფეხბურთში კორუფციული სკანდალის გამო ატეხილი აურზაური მხოლოდ ღიმილს იწვევს."

ინციდენტის შემდეგ ხუთი დღე გავიდა, ალონსო კი არ ცხრება:

„ზინედინ ზიდანმა კარიერა უფრო მეტი დიდებით დაასრულა, ვიდრე შუმახერმა. მიხაელი ფორმულა 1-ის ყველაზე არასპორტული მრბოლია, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ იგი საუკეთესო არ იყო — ტრასაზე მასთან ბრძოლა მუდამ დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ზოგიერთს არ გაუხარდება შუმახერის წასვლა, რადგან ის მათთვის ლიდერი იყო. ვთვლი, რომ მისი წასვლის შემდეგ ფორმულა 1 შესაძლოა, უფრო სპორტული გახდეს...

...ფლავიოს არ ვეთანხმები, მიხაელისთვის ტიტული ჯერ არ უჩუქებიათ, თუმც ბოლო დროს მართლაც ბევრი გადაწყვეტილება იყო ერთი გუნდის საწინააღმდეგოდ და მეორის სასარგებლოდ. და მაინც 100 პროცენტით, არა, 110 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ჩემპიონატს ჩვენ მოვიგებთ."

შუმახერის მენეჯერმა ვილი ვებერმა გერმანულ „ბილდთან" ინტერვიუში განაცხადა: „ალონსო ჩინებული მრბოლია, მაგრამ მისი ამჟამინდელი საქციელი საცოდაობაა, ხოლო ეს რეპლიკა — წელსქვემოთ დარტყმა, რაზეც მიხაელი, იმედი მაქვს, ტრასაზე ღირსეულ პასუხს გასცემს."

ბრიატორემ თავისი ნათქვამი უკან წაიღო — ეს კომენტარი ჟურნალისტებმა კონტექსტიდან ამოგლიჯეს, რის შემდეგაც სახუმარო შენიშვნა ისეთი გამოვიდა, როგორიც არ ყოფილაო. მაგრამ ავტოფედერაციის ჩინოვნიკებმა, რბოლების „საკულისო ფალსიფიცირების" ბრალდების გამო, შესაძლოა, 56 წლის ბოსი საქმის გასარჩევად დაიბარონ.

**გია ახალაძე**

## ველორბოლა

**61-ე ვუელტა** 26 აგვისტო-17 სექტემბერი

# ალახანდრო ვალვერდემ ასტანა ვერ აიტანა

**ალეხანდრო** ვალვერდე თურმე სულ ტყუილად იკლავდა თავს, ლიდერის სარგო ოქროსფერი მაისურა რომ შეენარჩუნებინა — ბოლომდე ვერ მოახერხა და როგორც ჩანს, 2006 წლის ვუელტას არა ესპანელი, არამედ ყაზახი ჩემპიონი ეყოლება.

ალექსანდრ ვინოკუროვმა და მისმა გუნდმა „ასტანა ვიურტმა" ესპანეთის სიამაყეს მე-17 ეტაპის მთებში, უფრო დაღმართებზე და არა აღმართებზე უყელეს და ამდენი ეტაპი ასე მორჭმით ნატარები საერთო ჩათვლის ყორჩის კვართი ჩამოართვეს. მე-16 ეტაპის შემდეგ ვალვერდე თავის უმთავრეს კონკურენტ ვინოკუროვს 1 წუთსა და 42 წამს უგებდა და თავი დაუწეველი ეგონა, მაგრამ ყაზახმა ამ სხვაობის გაბათილების ერთი კარგა მთიანი ეტაპი ამყოფინა, ფინიშთან 1 წუთით და 39 წამით მიასწრო და ეტაპის მეორე ადგილზე ჩამთავრებით 12 პრემიალური წამიც რომ მიითვალა, 9 წამით გაუსწრო ესპანელს.

9 წამი თითქოს ბევრიც არაფერია, მით უმეტეს მთებში, მაგრამ შემდეგმა ასევე მთიანმა ეტაპმა ვალვერდეს არათუ დაუბრუნა ლიდერის მაისურა, პირიქით, კიდევ უფრო შორეული გახადა.

მთელი მე-17 ეტაპი ვინოკუროვი და მისი გუნდი ვალვერდეს „ილეს ბალეარსის" ბორბლებს უკან ჩასაფრებულები მიდიოდნენ. ახლა ვალვერდე აგებდა საერთო ჩათვლაში და ცხადი იყო, უკვე მას უნდა ემუშავა. ჰოდა, ისიც და მისი გრეგარებიც საშინლად მოიქანცნენ მთელი ეტაპის განმავლობაში პელოტონის თავში პედლების ტრიალით და საქმე საქმეზე და აღმართზე რომ მიდგა, ფეხში ღონე აღარ შერჩათ.

აღმართი კი მართლაც საშინელი იყო, მრბოლები თუნდაც ამ ვუელტაზე ზღვის დონიდან გაცილებით მაღლაც აგორებულან, მაგრამ ეს 1840-მეტრიანი მთა ჯოჯოხეთისკენ აღმართს ჰგავდა. ბოლო 9 კილომეტრზე 650 ჰიფსომეტრიულ მეტრზე მეტით აიწიეს. დახრილობა 16-17 და ერთ საშინელ მონაკვეთში 18 გრადუსსაც აღწევდა. ისედაც გადაღლილ „ილეს ბალეარსს" თავის ვალვერდესთან ერთად სულ გასძვრა ქანცი. ვინოკუროვმა კი ორიოდ კილომეტრი უყურა და მერე ისე დააწვა პედლებს, ვალვერდე კი არა, ეშმაკი ვერ დაეწეოდა. თუმც ერთმა კაცმა მაინც მოახერხა დაწევა, ისიც ყაზახი და ისიც, რაღა თქმა უნდა, „ასტანას" წევრი ანდრეი კაშეჩკინი გახლდათ, რომელმაც წინა, საბედისწერო ეტაპზეც აწვალა ვალვერდე და ახლაც იმდენი ქნა, თვით ვინოკუროვსაც კი გაასწრო და ეტაპის მოგებისთვის დასარიცხი 20 ბონუს წამის ნაცვლად 12 არგუნა.

ახლა ვინოკუროვი საერთო ჩათვლაში თითქმის წუთს უგებს ვალვერდეს, მესამე კი კაშეჩკინია. ვალვერდეს ერთი შანსიღა შერჩა. დარჩენილი 3 ეტაპიდან მხოლოდ ერთიღაა სერიოზული — ხვალ გასამართი 29-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა, მაგრამ ყაზახებისთვის ამ ეტაპის მოგების შანსი ვალვერდეს იმდენად მცირედ უჩანს, რომ შეიძლება არც კი შეუტიოს და ასე მეორე ან იქნებ საერთოდ მესამე ადგილისთვის გაწირული ბედსაც წინდაწინ შეეგუოს.

**კოტე ყორშია**




ასტანელი ყაზახები ანდრეი კაშეჩკინი და ალექსანდრ ვინოკუროვი

**მე-18 ეტაპი. 14 სექტემბერი. გრანადა — სიერა დე ლა პანდერა. 153 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) | 3 სთ 57 წთ 39 წმ |
| 2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) | +30 წმ |
| 3. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი) | იგივე დრო |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | +32 წმ |
| 5. ლეონარდო პეპოლი (იტალია, სონი დიუვალი) | +35 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) | 71 სთ 27 წთ 08 წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | +53 წმ |
| 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) | +2 წთ 06 წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +2 წთ 51 წმ |
| 5. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი) | იგივე დრო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდგერიდუ

ავსტრალიის დიდი პრიზი მოტომრბოლთა შორის უქმეებზე გათამაშდება, მანამდე კი ესპანელი ტონი ელიასი მუსიკალური ინსტრუმენტის დაუფლებას ცდილობს. მასწავლებელიც კაი ჰყავს, საკრავს კი დიდგერიდუ ჰქვია.



AFP

# ტაიგერი ლონდონში

ტიაგერ ვუდსი თავის ყვანჯებიანა ლონდონშია და იქაურ ავტობუსში იწონებს თავს. მალე ვენთვორსში „ვორლდ პლეი მატჩი“ გახურდება, მერე კი ირლანდიაში „რაიდერ ქაფი“. ამიტომ ვუდსი თვის ბოლომდე კუნძულებზეა.




AFP ლონდონიდან

# გამოწიწკვნა

ბრაზილიაში, სან პაულუში ქალთა საკალათბურთო მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს და წიოკიც ბევრია. ესპანელ ელზა აგილარს კორეელ ჰიუ კიმთან ბურთისთვის ჭიდილში ყური კინალამ დაუკარგავს.



AFP სან პაულუდან



AFP ოკლენდიდან

# გამქცევი

გამქცევიც ესაა: ლადაინიენ ტომლინსონმა ოკლენდელი მადევრები ჩამოიშორა და ყველა ხაზიც გადაირბინა. მოკლედ, ბურთაობაა: „ოკლენდი“ — „სან დიეგო“.



AFP ჩანგშადან

# საპოლიციო ბრძოლები

თავისუფალი ბრძოლები ჩინეთის ერთ-ერთ შუა პროვინციაში საინტერესო საცქერია. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან ამერიკის პოლიციელები და ჩინეთის მილიციელები. ქალაქ ჩანგშაში ამერიკელები უფრო სამხრეთის შტატებიდან ჩასულან, ჩინელები კი შინაგანი ჯარიდან და ანტისამღელვარებო მილიციიდან აურჩევიათ. ამ სურათზე ჩინელი შინგ ჯინში უტევს ამერიკელ ფაბიან სილვას.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge